619
1953

F

დროშა

№ 7 ივლისი 1953

619/2

22

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კვირა დღე რუსთავში. მეტალურგები ცურაობენ მდ. მტკვარში.

ფოტო ოთ. თურქუასი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა № 7 (24) ივლისი 1953 წ.

გამომცემლობა „კომუნისტი"

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიისა და ხალხის ურყევი ერთიანობა

10 ივლისს გამოქვეყნდა საინფორმაციო ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ.

საინფორმაციო ცნობაში ნათქვამია: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, მოისმინა და განიხილა რა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის — ამხ. გ. მ. მალენკოვის მოხსენება ლ. პ. ბერიას დანაშაულებრივი ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი მოქმედების შესახებ, რომლის მიზანი იყო საბჭოთა სახელმწიფოს ძირის გამოთხრა უცხოეთის კაპიტალის ინტერესებისათვის და რომელიც გამოიხატა ვერაგული ცდებით დაეყენებინა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო საბჭოთა კავშირის მთავრობასა და კომუნისტურ პარტიაზე მაღლა, მიიღო გადაწყვეტილება — გამოყვანილ იქნას ლ. პ. ბერია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან და გაირიცხოს იგი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებიდან, როგორც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის მტერი".

მთელმა საბჭოთა ხალხმა უდიდესი ერთსულოვნებით მოიწონა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ დროულად მიღებული გადამჭრელი ზომები ბერიას დანაშაულებრივი მოქმედების სალიკვიდაციოდ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება იმის შესახებ, რომ საქმე ბერიას დანაშაულებრივი მოქმედების შესახებ განსახილველად გადაეცეს სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს.

საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტი, ხალხისა და პარტიის მტერი ბერია თავის ანტიპარტიულ და ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებაში მიზნად ისახავდა საბჭოთა სახელმწიფოს ძირის გამოთხრას უცხოეთის კაპიტალის ინტერესებისათვის.

J3396

დადგენილია, რომ ავანტიურისტი, ბურჟუაზიული გადაგვარებული ბერია აწყობდა გეგმებს, რომ ხელში ჩაეგდო ხელმძღვანელობა პარტიისა და ჩვენი ქვეყნისადმი, რათა დაენგრია ჩვენი კომუნისტური პარტია და პარტიის მიერ მრავალი წლის მანძილზე შემუშავებული პოლიტიკა შეეცვალა კაპიტულანტური პოლიტიკით, რომელსაც საბოლოო ანგარიშით კაპიტალიზმის რესტავრაცია მოჰყვებოდა. სხვადასხვა მოგონილი საბაბით ბერია ყოველნაირად აფერხებდა უმნიშვნელოვანესი გადაუდებელი საკითხების გადაჭრას სოფლის მეურნეობის დარგში. ამას იგი იმისათვის სჩადიოდა, რომ ძირი გამოეთხარა კოლმეურნეობებისათვის და შეექმნა სიძნელეები ჩვენი ქვეყნის სურსათით მომარაგებაში.

ბერია ცდილობდა შუღლი დაეთესა სსრ კავშირის ხალხებს შორის, გაეაქტიურებინა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ელემენტები მოკავშირე რესპუბლიკებში, სხვადასხვა ვერაგული ხერხით ძირი გამოეთხარა მრავალერიანი სოციალისტური სახელმწიფოს საფუძველთა საფუძვლისათვის — სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობისათვის.

ჩვენი დიდი სამშობლოს მილიონობით ადამიანები გულისწყრომით გმობენ პარტიისა და ხალხის უბოროტესი მტრის ბერიას დანაშაულებრივ მოქმედებას, მოუწოდებენ რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერებისაკენ.

მთელს საბჭოთა ქვეყანაში ჩატარდა პარტიული კომიტეტების პლენუმები პარტიულ აქტივთან ერთად, პარტიული ორგანიზაციების სხდომები, მშრომელთა კრებები, სადაც კომუნისტებმა და უპარტიოებმა — მუშებმა, კოლმეურნეებმა და საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლებმა თავიანთი ხმა შეუერთეს პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის ხმას.

განსაკუთრებული ერთსულოვნებისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო დარაზმულობის ვითარებაში ჩაიარა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის საქალაქო კომიტეტის გაერთიანებულმა პლენუმმა პარტიულ აქტივთან ერთად.

გაერთიანებული პლენუმი, რომელმაც ერთსულოვნად მიიღო განუხრელი ხელმძღვანელობისა და შესრულებისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილება, გადაიქცა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ერთიანობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო მისი მჭიდრო დარაზმულობის მძლავრ დემონსტრაციად.

საქართველოს საწარმოებსა, კოლმეურნეობებსა და დაწესებულებებში შემდგარ კრებებზე გამოსული მუშები, კოლმეურნეები და მშრომელი ინტელიგენციის წარმომადგენლები გმობდნენ რა პარტიისა და ხალხის მტრის ბერიას ანტიპარტიულ და ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას, ფიცსა სდებდნენ საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი თავიანთ ურყევ ერთგულებაზე. სიტყვას იძლეოდნენ კიდევ უფრო გაემრავლებინათ ჩვენი რესპუბლიკის მიღწევები დიად კომუნისტურ მშენებლობაში.

მკაცრად, მრისხანედ ჟღერდა რუსთავის მეტალურგთა ხმა.

— ჩვენ, ქართველი მეტალურგები, — განაცხადა ცნობილმა ჩქაროსანმა მეფოლადემ შ. კუხალეიშვილმა, — გავეცანით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებას ბერიას დანაშაულებრივი ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი მოქმედების შესახებ. გარეწარ ბერიას მიზანი იყო საბჭოთა სახელმწიფოსათვის ძირის გამოთხრა უცხოეთის კაპიტალის ინტერესებისათვის. იგი ცდილობდა დაეყენებინა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო საბჭოთა კავშირის მთავრობასა და კომუნისტურ პარტიაზე მაღლა. გავეცანით ამ დოკუმენტებს და ღრმად ვართ აღშფოთებულნი ამ ბურჟუაზიული გადაგვარებულის მუხანათური საქმიანობით. მილიონობით მშრომელების მძლავრ ხმას, ჩვენც, ქართველი მეტალურგები ვუერთებთ ჩვენს ხმას. ჩვენ მხურვალედ ვიწონებთ საკ. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ მიღებულ გადამჭრელ ზომებს, რომლებმაც დროულად ალაგმეს საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტი ბერია.

მუშების მსგავსად ქართველი კოლმეურნეებიც სასტიკად გმობენ ავანტიურისტ ბერიას საზიზღარ საქმიანობას და სიტყვას იძლევიან, რომ საკოლმეურნეო დოვლათის შემდგომი გაზრდით, საკ. კ. პ. ცენტრალური კომიტეტისადმი მტკიცე ერთგულებით ჩაშლიან მტრის ყოველგვარ ცდას შეაფერხონ საკოლმეურნეო სოფლის ძლევამოსილი სვლა გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ.

მასწავლებლები, ექიმები, აგრონომები, მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკები აცხადებენ თავიანთ მზადყოფნას პარტიის მეთაურობით შემდგომშიაც აქტიურად იბრძოლონ კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებისათვის.

საკავშირო კ. პ. ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებების ერთსულოვანი და მხურვალე მოწონება ერთხელ კიდევ ადასტურებს ხალხის ურყევ ერთიანობას დიად კომუნისტურ პარტიასთან, რომლის ბრძნულ საქმიანობასაც საბჭოთა ხალხი უმადლის თავის ყველა გამარჯვებას, საბჭოთა ქვეყნის განუხრელ და ძლევამოსილ სვლას კომუნიზმის ბრწყინვალე მწვერვალებისაკენ.

რევოლუციის უდიდესი პოეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გია მარგველაშვილი

საბჭოთა ხალხი აღნიშნავს ,ვენი ეპოქის უნიჭიერესი პოეტის ვლადიმერ ვლადიმერის-ძე მაიაკოვსკის დაბადების სამოცი წლის თავს. მკითხველები კვლავ სიყვარულით გადაიკითხავენ ნაცნობსა და საყვარელ სტრიქონებს, ლიტერატურათმცოდნეები და კრიტიკოსები ახალი ენერგიით ცდილობენ უფრო ღრმად და სწორად გახსნან საბჭოთა ლიტერატურის დიდი კლასიკოსის შემოქმედება, მხატვრული კითხვის ოსტატებს კეთილშობილი მიზანი დაუსახავთ — ათეულ და ასეულ ათასობით მკითხველს მიაწვდინონ პოეტის სიტყვა, მხატვრები და მოქანდაკეები ფუნჯითა და საჭრეთელით ცდილობენ შექმნან სახე შესანიშნავი პოეტისა, ადამიანისა და მოქალაქისა, რომელმაც მთელი თავისი ძლიერი ნიჭი, უდიდესი ადამიანურობა და დაუშრეტელი მოქალაქეობრივი პათოსი უდიდეს და ყოვლისშემცველ საქმეს — ახალი, კომუნისტური საზოგადოების შენების საქმეს მოახმარა.

მაიაკოვსკის საიუბილეო დღეებში ბევრ რამეზე შეიძლება ლაპარაკი. ყოველი მისი ლექსი, მისი სიცოცხლის ყოველი დღე — დიდი და წარმტაცი თემაა. მაგრამ პირველ რიგში გსურს ილაპარაკო მთავარზე, იმაზე, რამაც განსაზღვრა მაიაკოვსკის შემოქმედების მთელი სიახლე, გსურს ილაპარაკო შემოქმედის სავსებით ახალ ტიპზე, მწერლის ახალ ტიპზე, რომლის ბრწყინვალე და საუკეთესო წარმომადგენელი თვით მაიაკოვსკი იყო. მწერალი-კომუნისტი, მწერალი „ხალხის წინამძღოლი და იმავე დროს მსახური ხალხისა“, მწერალი, რომელიც მთელს თავის მოღვაწეობაში ხელმძღვანელობს შემოქმედების ხალხურობისა და კომუნისტური პარტიულობის პრინციპით— ასეთია მაიაკოვსკი, ასეთია მისი მოქალაქეობრივი და ადამიანური თვისებები, რაიც მისი პოეტური სიდიადის საწინდარი გახდა. კომუნისტური პარტიულობა, როგორც ჩვენი დროის მხატვრის თავისუფალი შემოქმედების გამოვლინების მაღალი და უკეთილშობილესი ფორმა — აი რა განსაზღვრავდა საბჭოთა ეპოქის უნიჭიერესი პოეტის სულიერ, მორალურ, მოქალაქეობრივ და ადამიანურ სახეს. მაიაკოვსკი თვითონვე ბევრჯერ შეხებია ამ თემას თავის ლექსებსა და პოემებში, სტატიებსა და სიტყვიერ გამოსვლებში. ჩვენი მიზანია — მოვაგონოთ მკითხველს, თუ როგორ სვამდა და სწყვეტდა მაიაკოვსკი ლიტერატურის პარტიულობის, როგორც ხელოვნების თავისუფლების გამოვლინების უმაღლესი ფორმის საკითხს.

...ოქტომბრის წინა თვეები... უფრო მოგვიანებით მაიაკოვსკი იგონებს ამ დროს: „ბევრმა მხატვარმა პირველად გაიგო, რომ ზეთის საღებავებსა და სურათების ფასებს გარდა, არსებობს კიდევ რაღაც პოლიტიკური საკითხები“. და აი, გამძაფრებული პოლიტიკური ბრძოლის დროს, რევოლუციის მომზადების პერიოდში, ეს მხატვრები და მათი ლიტერატურული „ძმები“, თავს ისე იჭერდნენ, თითქოს და არაფერი მომხდარიყოს, თითქოს რევოლუციის დუღილს არაფერი კავშირი არ ჰქონდეს ხელოვნებასთან. ხელოვნების მუშაკთა კრებებზე გაისმოდა ტრაგიკომიკური შეძახილები: „მდიდარი ქანდაკებებით შემკულ ქალაქებში უნდა აიკრძალოს რევოლუცია... იბრძოლონ სადმე ქალაქის ფარგლებს გარეთ, ხოლო ქალაქში გამარჯვებულები შემოვიდნენ!“ იმ კრებას, სადაც ეს შეძახილები გაისმოდა, მაიაკოვსკიც დასწრო და ამრიგად, მას საშუალება მიეცა ენახა, როგორ მალე აიხადეს ნიღაბი „წმიდა ხელოვნების“ ამ „მიამიტმა“ ქურუმებმა.

გორკიმ, მაიაკოვსკიმ და სხვა ჭეშმარიტად დემოკრატიულმა მწერლებმა მოჩვენებით თავისუფალს, სინამდვილეში კი ბურჟუაზიასთან დაკავშირებულ ლიტერატურას დაუპირისპირეს ნამდვილად თავისუფალი, პროლეტარიატთან აშკარად დაკავშირებული ლიტერატურა. რუსეთის რევოლუციის დიდი ბელადის — ლენინის კვალდაკვალ მათ წამოაყენეს ლიტერატურის პარტიულობის, როგორც შემოქმედების თავისუფლების უმაღლესი გამოვლინების, ლოზუნგი.

მაგრამ უჭერდა რა მხარს ლიტერატურის პარტიულობის პრინციპს, მაიაკოვსკი, ამავე დროს, შორს იდგა ამ პრინციპის ვულგარული გაგებისაგან. მას მშვენივრად ესმოდა, რომ საქმე ფორმალურად პარტიის წევრობაში კი არ არის, რომ მთავარია მწერლის მსოფლმხედველობა, პოლიტიკური და ესთეტიკური მიზანდასახულობა, და, ბოლოს, მისი შემოქმედებითი მეთოდი. ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე, მანამდე, ვიდრე მრავალ სადავო პრობლემებს თვით ცხოვრება გადაწყვეტდა, მაიაკოვსკის ამ საკითხში ნათელი პრინციპული, პოზიცია ეჭირა. 1917 წლის მაისის მიწურულში, როცა პროლეტარიატთან ახლო მდგომი მწერლების კრებაზე დაისვა საკითხი მწერლის პარტიის წევრობიდან გამომდინარე „ხელოვნების კლასობრივი არსის“ დადგენის შესახებ, მაიაკოვსკიმ სიტყვა აიღო და თავისი შეხედულება მკაფიოდ ჩამოაყალიბა: „გაკვირვებული ვარ, როცა აქ გაიძახიან ფორმალური პარტიულობის შესახებ, და ანგარიშსაც არ უწევენ ავტორის ნიჭსა და მსოფლმხედველობას, ეს კი ყველაზე კარგი გარანტია იქნებოდა იმისა, გამოადგება თუ არა ნაწარმოები პროლეტარიატს“. როგორც ცნობილია, მაიაკოვსკი თვითონვე იყო იმის შესანიშნავი მაგალითი, რომ მთავარია სწორედ მწერლის მსოფლმხედველობა და არა მისი ფორმალური პარტიულობა. მაიაკოვსკის უღრმესი კავშირი რევოლუციასთან წარმოადგენდა იდეურსა და მორალურ კავშირს. არა ერთხელ გამოუხატავს ეს აზრი მაიაკოვსკის: „მე დაშორებული არა ვარ პარტიას და თავს ვალდებულადა ვთვლი ბოლშევიკური პარტიის ყველა დადგენილება შევასრულო, მიუხედავად იმისა, რომ პარტიულ ბილეთს არ ვატარებ“. 1927 წელს პოლონურ გაზეთ „პოლსკა ვოლნოსტ“-ში გამოქვეყნებული იყო მაიაკოვსკის ინტერვიუ, რომელიც ამ საკითხებს შეეხება:

— ყველაფერი, რასაც ახლა ქმნიან რუსეთის მწერლები — ეს არის მოქმედების, მშრომელი ადამიანის უფლებისათვის ბრძოლის პოეზია. მე თავისუფალი მწერალი ვარ. არავისაგან არა ვარ დამოკიდებული მატერიალურად; მორალურად კი დაკავშირებული ვარ იმ რევოლუციურ მოძრაობასთან, რომელსაც რუსეთი სოციალური თანასწორობის საწყისებზე გადაჰყავს...

მაიაკოვსკის მოსაზრებებს ხელოვნების დანიშნულებაზე და „მუშათა მწყობრში პოეტის ადგილზე“ წითელი ხაზით გასდევს საოცარი ფსიქოლოგიური სიღრმით გაკეთებული ანალიზი მწერლის უფლებათა და მოვალეობათა პრობლემისა. ერთ-ერთ ასეთ სიტყვაში მოცემულია უაღრესად ლაკონიური და ამავე დროს ამომწურავი ფორმულირება.

„მე მ ი ნ დ ა, რომ მავალდებულებდნენ! ეს არის ყველაზე ძნელი და მნიშვნელოვანი რამ ადამიანისათვის“. ეს აზრი, რა თქმა უნდა, ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს პოეტი რაღაც უშუალო ბრძანებას ელოდეს;

„მე მ ი ნ დ ა, რომ მავალდებულებდნენ“ — ეს არის პოეტის უფლებათა დეკლარაცია, ეს არის პოეტის სწრაფვა მაქსიმალური ეფექტურობით წარმართოს თავისი ხელოვნება ხალხისთვის სასარგებლო მიმართულებით, ეს არის საკუთარი თავის მიმართ მომთხოვნელობა, თვითდისციპლინა, იმის შიში, რომ ფუჭად, უსაქმურად არ დაიკარგოს „სიტყვის ფოლადი“. მაიაკოვსკისთვის შემოქმედების თავისუფლება ნიშნავდა, უპირველეს ყოვლისა:

ვლ. მაიაკოვსკი

ჭასუნი მოვითხოვით

გრგვინავს და გრგვინავს
დაფდაფი ომის,
მოითსოვს რკინა —
რომ სისხლმა ფეროს,
ყოველის მხრიდან —
სვეტრია მონის
ფოლადის სიშტერმ
რომ დაეძგეროს;
მე გეკითხემით:
— „მითხარით რისთვის,
ბანბარემს მიწა
გაძარცული,
მჭლე და მშიერი?“
— ვაცომრიომა
მანაომს სისხლში,
მხოლოდ-ღა მისთვის,
რომ გასუქდეს
ვიღაც ძლიერი —
ალმანელთ მიწით!
გამორეოცემა არ სცილდემა
მნელ ურდოს ვაცთა,
ალმათ საშყარო
ახალ დარცყმემს
ისევ იგემემს, —
მხოლოდ იმისთვის, —
მოსფორში გასვლა —
ულასყიდლოდ სურთ
საამყედრო გემემს.
ნეკნს ჩაუმცვრეენ
მრავალ მხარეს
უნდა ვიფიქროთ —
სულს ამოსდიან
გადათელავენ, —
მხოლოდ იმიცომ,
რომ ვიღაც ითხოვს —
მესოპოცამია
ცყვედქმნილი ჭყავდეს.
ვისი სახელით
ქვეყნემს თელავს
ჩექმა ულეში?
ანდა, რა არის
ომის ცის ქვეშ
თავისუფლემა?
აღსდექ ჩაგრულო, —
სხვისთვის მდგარო
სისხლის გუმეში
და მცარვალს უთხარ:
— რად გვამრძოლემ,
არ გაქვს უფლემა!..

თარგმანი კ. ბ-ისა

პოეტის უფლებას, მიაჩნდეს თავისი შემოქმედება საზოგადოებრივი პროცესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლად, სოციალიზმისათვის ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ უბნად.

პოეტის შემოქმედებითმა პრაქტიკამ დაადასტურა მისი დეკლარაციის გულწრფელობა. აი, თუნდაც, ერთი მაგალითი, თუ როგორ იღებდა მაიაკოვსკი აუცილებელ ვალდებულებას. ჩვენ ვკითხულობთ „კომსომოლსკაია პრავდას“ რედაქციის მიერ მოწყობილ საღამოზე მაიაკოვსკის გამოსვლის ანგარიშს:

„რედაქტორმა საღამო გახსნა და განაცხადა, რომ საზღვარგარეთ გამგზავრების წინ მაიაკოვსკის სურს თავის მკითხველებთან საუბარი იმის შესახებ, თუ რა და როგორ უნდა დასწეროს მან საზღვარგარეთის შესახებ, სურს მიიღოს დავალება, „მივლინება“, —არა ისეთი მივლინება, რომლის მიხედვითაც სათანადო უწყება პასპორტს იძლევა, არამედ სიტყვიერი მანდატი, თავისი აუდიტორიის „დავალება“... შემდეგ, სიტყვებით გამოსული კომკავშირელები მაიაკოვსკის ერთსულოვნად აძლევენ „თავიანთ დასტურს ამ მივლინებაზე“... მაიაკოვსკი ოდესღაც წერდა: „მინდა რომ წლიური დავალების მოცემისას კამათის დროს ოფლში იწურებოდეს „გოსპლანი“ — კომკავშირულმა აუდიტორიამ ცხარე „კამათის ვითარებაში“ მისცა დავალება მაიაკოვსკის“.

ბევრი ასეთი მაგალითის მოტანა შეიძლება. ასეთი ნდობის გარეშე, პასუხსაგები დავალებების გარეშე, მკითხველთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მუდმივი კავშირის გარეშე, მაიაკოვსკის ვერც კი წარმოედგინა თავისი შემოქმედება. ამასთან, დამახასიათებელია, რომ უმეტეს შემთხვევაში იგი წინ უსწრებდა საზოგადოებრივ დავალებას. განათლების სახალხო კომისრის ლუნაჩარსკის, ან გაზეთების რედაქტორების თხოვნაზე იგი ხშირად უპასუხებდა ხოლმე: „ეს უკვე გაკეთებულია!“ ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს მაიაკოვსკის პოეტური მუშაობის ღრმა ორგანიულობას. ამავე დროს, მაიაკოვსკი მუდამ აფრთხილებდა პოეტებს, რომ საჭირბოროტო თემები, ლექსის ოპერატიულობა — ცივი, გულგრილი ხელოსნობით არ შეეცვალათ. სწორედ აქედან გამომდინარეობს მაიაკოვსკის კატეგორიული მოთხოვნა, რომელიც მან რევოლუციის პირველივე თვეებში წაუყენა ლიტერატორებს: „აბა წარმოადგინეთ თქვენი მანდატები! ვინ წარმოგგზავნათ — პროლეტარული რევოლუციისათვის მფეთქავმა გულმა, თუ ახალი პატრონისაგან შეკვეთების მიღების წყურვილმა?“ ჩვენ უკვე ვიცით, რომ სიტყვა „მანდატს“ პოეტი მეტაფორულად ხმარობს.

მაიაკოვსკი **არ უარყოფდა**, **რომ** ყოველ მწერალს გააჩნია თავისი, მახლობელი თემები, მაგრამ იგი ამტკიცებდა, რომ ამავე დროს მწერლის მოვალეობაა შემოქმედებითად დაუახლოვდეს რაც შეიძლება მეტმნიშვნელოვან მოვლენას. ამისთვის კი, ამბობდა მაიაკოვსკი, „პოეტი საქმეებისა და მოვლენების ცენტრში უნდა იმყოფებოდეს“, უნდა იყოს „მოწინავე თავისი კლასისა; თავის კლასთან ერთად აწარმოოს ბრძოლა ყველა ფრონტზე“. მაიაკოვსკი მრისხანედ ეხმოდა თავს იმათ, ვინც ცდილობდა მისი მოღვაწეობა „წმინდა პოეტური“ ამოცანებით შემოეფარგლა. მგზნებარე პოლემიკის დროს იგი უფრო ადვილად შეელეოდა თავის პოეტობას, ხოლო მოქალაქეობრივი მოვალეობის ერთ ნამცეცსაც კი ვერ დასთმობდა: „ამბობენ, მაიაკოვსკი პოეტია და თავის პოეტურ სკამზე დაეტიოსო... ფეხებზე მკიდია ჩემი პოეტობა; მე პოეტი კი არა ვარ, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ჩემი კალმით ვემსახურები, დიახ ვემსახურები დღევანდელ ჟამს, სინამდვილეს და მის გამტარებელს — საბჭოთა მთავრობასა და პარტიას. მე მინდა ჩემი სიტყვა თანამედროვე იდეების გამტარებელი იყოს“.

საინტერესო იქნება შევადაროთ მაიაკოვსკის პოზიცია მისი თანამედროვის, ბოჰემით მოწამლული პოეტის, სუსტსა და მერყევ ესენინის განწყობილებებს. აი, ესენინისთვის დამახასიათებელი სტრიქონები: „მთელს სულს შევწირავ მაისს და ოქტომბერს, მაგრამ სანუკვარ ჩანგს მათ არ მივცემ!“ მაიაკოვსკისთვის უცხოა ასეთი გაორება. მის „ჩანგს“ მხოლოდ მაშინ შეეძლო „მთელის ხმით“ ეჟღერა, თუ მისი გულიც „პროლეტარულ რევოლუციასთან ერთად ძგერდა“.

იყო ხალხის წინამძღოლი, ადამიანის სულის ინჟინერი, სარდალი კაცობრიობის სულიერი ძალებისა — განა ეს უმაღლესი ბედნიერება არ არის დიდი, პატიოსანი, დემოკრატიული მწერლისათვის? და განა ეს მისი თავისუფლების უმაღლესი გამოვლინება არ არის?

სახლი, სადაც დაიბადა ვლ. მაიაკოვსკი.

მაიაკოვსკი კარგად სარგებლობდა ამ თავისუფლებით. 150 მილიონიანი ხალხის მჩქეფარე ცხოვრებაში არ დარჩენილა არც ერთი უბანი, რომელიც მის მახვილ პოეტურ თვალს არ განეჭვრიტოს. მან შემოიარა ათეულობით ქვეყანა, შემოიარა მთელი კავშირი, იყო მრავალ ქალაქში; იგი ამაყობდა ყოველივე ახალით, ჯანსაღითა და კარგით, რაც საბჭოების ახალგაზრდა რესპუბლიკაში იბადებოდა, ამათრახებდა ძველის გადანაშთებს, გაბედულად მიუთითებდა იმაზე, რაც ახალის ზრდას უშლიდა ხელს.



ვლ. მაიაკოვსკის აკვანი.

„კარგია!“ — ამაყად მიმართავდა იგი თავის ხალხს, თავის ქვეყანას (ეს სიტყვა მას უყვარდა, ხშირად იმეორებდა, თავისი პოემის სათაურადაც აირჩია). „ცუდია!“ — შუბლს შეიკრავდა ხოლმე იგი, როცა სულიერ და ეკონომიურ პროგრესისათვის ხელისშემშლელ ცალკეულ მოვლენას შენიშნავდა (პოეტს ჰქონდა ჩაფიქრებული პოემა ასეთი სახელწოდებით — „ცუდია!“). მაგრამ „ცუდის“ ხიწვებს არასოდეს დაუბრმავებია მისთვის თვალები, ხელი არ შეუშლია მშობლიური ხალხის უდიდესი წარმატებებით გაეხარა. ამ წარმატებებში ხომ მასაც ჰქონდა წვლილი. მას უფლება ჰქონდა ეამაყნა: „მე მიხარია, ჩემი შრომაც ერთვის ჩემი რესპუბლიკის შრომას!“... მას გაკრიტიკების უფლებაც ჰქონდა. მაგრამ, ამავე დროს, ლიტერატორებს აფრთხილებდა:

„ჩვენ უნდა შეგვეძლოს კარგად შეიუფარდოთ კრიტიკის უფლება იმ ენთუზიაზმს და პათოსს, რასაც ჩვენ სოციალიზმის მშენებლობაში ვაქსოვთ და თუ ეს არა, ჩვენ ვერ მივიღებთ კრიტიკის უფლებას!“ ენთუზიაზმი და პათოსი, რომელიც მაიაკოვსკიმ სოციალიზმის საქმეს მიუძღვნა, ახლაც შთაგონების წყაროა საბჭოთა ხალხისათვის. და განა მარტო საბჭოთა ხალხისათვის?.

იმ მტრული ელემენტების საპასუხოდ, რომლებიც ჩვენს ლიტერატურას „შაბლონურს“ უწოდებდნენ, მაიაკოვსკი წერდა: „საბჭოთა ლიტერატურა მხოლოდ ერთი უბანია თავისუფლებისათვის მთელი მსოფლიოს ბრძოლის უზარმაზარ ფრონტზე; ჩვენი სიტყვა საზღვარს სცილდება და მაშინ იგი... შაბლონური „აგიტკა“ კი არ არის, არამედ თავისუფალი სიტყვის სასწაულია, რომელიც აყალიბებს, ან უფრო სწორად, ამჟიდროებს რევოლუციური რაზმების რიგებს მომავალი ბრძოლებისათვის“.

სწორედ თავისუფალი სიტყვის ასეთ სასწაულად წარმოგვიდგება მაიაკოვსკის ძლიერი, მგზნებარე, შთამაგონებელი პოეზია.



მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის საერთო ხედი.

რუსთავის სტადიონი. — საქართველოს პირველობაზე ერთმანეთს ეჯიბრება რუსთავის „მშენებელი“ და მარნეულის ნაკრები გუნდი.

კვირა დღე რუსთავში

საინტერესოდ და შინაარსიანად ატარებენ კვირა დღეს ქართველ მეტალურგთა ქალაქის — რუსთავის მშრომელები.

მტკვრის პირას გაშენებულ პარკს ასწლოვანი ხეების ჩრდილით დაფარული უზარმაზარი ტერიტორია უჭირავს. პარკის ნახევარი უკვე კეთილმოწყობილია: გაშენებულია ხეივნები, დადგმულია სკამები, აგებულია კიოსკები წყლებისა და ნაყინისათვის, გამოყოფილია სასპორტო მოედნები.

ეს ადგილი რუსთაველ მეტალურგთა საყვარელი ადგილია. პარკი ყოველდღე სავსეა ხალხით. კვირაობით ყველა აქეთკენ ისწრაფვის, განსაკუთრებით ახალგაზრდობა.

აგერ ხის ჩრდილში შეკრებილან მარტენის საამქროს ახალგაზრდა მუშები. მათ არა მარტო ასაკი აერთიანებთ, არამედ ჩვენი ქვეყნისადმი გულწრფელი სიყვარული. ჯგუფ-ჯგუფად შეგროვებული ახალგაზრდები ბურთის თამაშით ერთობიან.

პარკში მტკვრის ტოტია გადმოგდებული. აქ ცურვით და ბანაობით იქცევენ თავს რუსთაველები. მტკვრის ამ ტოტზე აგებული პატარა ხიდიდან წყალში ხტებიან მოცურავეები.

აქვე ახლოა სტადიონიც. ყოველ კვირას აქ იმართება როგორც ადგილობრივი, ისე საქალაქთაშორისო შეჯიბრებები ფეხბურთში, მძლეოსნობაში.

ათიათასამდე მაყურებელს იტევს სტადიონი. იგი ყოველთვის სავსეა მაყურებლებით. რუსთავის ახალგაზრდა მოქალაქეებს განსაკუთრებით ფეხბურთი იზიდავს. მათ რამდენიმე გუნდი ჰყავთ. ორი მათგანი — „მეტალურგი“ და „მშენებელი“ რესპუბლიკურ შეჯიბრებაში ღებულობს მონაწილეობას.

ამიერკავკასიის თბილისის განყოფილების ტექნიკური განყოფილების უფროსი ინჟინერ-მაიორი ევსევი ჩოგოვაძე ცოლშვილთან ერთად ავტობუსით მიემგზავრება რუსთავში.

რუსთავის პარკში შეხვდებით ჯგუფ-ჯგუფად მოსეირნე ახალგაზრდებს. ესენი მეტალურგთა ქალაქის სანახავად ჩამოსულან საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. სტუმრებს უკვე დაუთვალიერებიათ ქარხანა და ახლა კმაყოფილებით ისვენებენ პარკში.

აგერ სიღნაღის სამედიცინო დების ტექნიკუმის მოსწავლეები ჩამოსულან რუსთავის სანახავად. მათ რუსთაველი ახალგაზრდები დაჰყვებიან და თავიანთ საამაყო ქალაქს აცნობენ.

აქვე არიან ცეკავშირის კოოპერატიული ტექნიკუმის მოსწავლეები. ისინი ადრეც ყოფილან რუსთავის დასათვალიერებლად. ახლა ერთხელ კიდევ სწვევიან რუსთაგს და მის ახალმშენებლობებს ეცნობიან.

ასეთი ინტერესით მოე-

რუსთავის ახალგაზრდა მაყურებლები აღტაცებულნი არიან თავიანთი ფეხბურთელების თამაშით.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტენის საამქროს ახალგაზრდა მუშები ბურთის თამაშით ერთობიან პარკის ხეივანში.

შურებიან რუსთავისაკენ ჩვენი რესპუბლიკის ყველა კუთხიდან. მარტო თბილისის ლენინის სახელობის მოედნიდან ყოველ ნახევრ საათში გადის კომფორტული ავტობუსები.

კვირა დღეს არა მარტო რუსთავის მშრომელი მოსახლეობა ისვენებს ჯანსაღად და შინაარსიანად მშობლიურ ქალაქში, არამედ თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქებიდან და სოფლებიდან ჩამოსული მშრომელებიც. განსაკუთრებით მრავალ თბილისელს ნახავს აქ კაცი. კვირა დღეს მოეშურებიან ექსკურსიები წარმოება-დაწესებულებებიდან, სასწავლებლებიდან.

არა მარტო ორგანიზებული ჯგუფები მოდიან რუსთავის სანახავად კვირა დღეს. მოდიან ცალკეული მოქალაქეები თავიანთი ოჯახებით. ყოველ თბილისელს აინტერესებს თავის თვალით ნახოს ქართული მეტალურგიის ახალი კერა, სოციალისტური ინდუსტრიის საამაყო გიგანტი.

თბილისელები ათვალიერებენ ქალაქს, მშენებლობებს, გიგანტურ საამქროებს და შემდეგ რუსთაველებთან ერთად საღამომდე ისვენებენ პარკის ხეივნებში.

ტექსტი ნ. ნასიძისა
ფოტო ო.თ. თურქიასი

ექსკურსიაზე ჩამოსული სიღნაღის სამედიცინო დეპის სკოლის მოსწავლეები რუსთავში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტყის ჯოჯოხეთი

წიფლის ხეების გადაზიდვა ილტოს სატყეო უბნიდან. ხეები მიაქვთ ვიწრო რკინიგზის ლიანდაგით ახმეტის ხეტყის ჭარხანაში.



250 კვადრატული კილომეტრის ფართობზე, თიანეთისა და კავკასიის მთაგრეხილების განშტოებებზე შეფენილია ახმეტის ტყე. აქ მრავლად მოიპოვება ძვირფასი ჯიშის ხეები: წიფელა, კაკალი, თელა, ნეკერჩხალი და წითელი ხე.

წიფლის ხეების სიმაღლე 30 მეტრს აღწევს. მრავალი მათგანი 200-250 წლისაა. ამ გიგანტურ ხეთა შტოების ქვეშ საგრძნობლად გრილა და ხშირად ნესტიც არის.

ამ ტყეს თავისი ცხოვრება აქვს, თავისი „მოსახლეობა" ჰყავს. მაღლა მთებში შეგხვდებათ ირემი, ჯიხვი, შველი. შამბნარში დახეტიალობენ გარეული ღორები, დათვები, მგლები. ახლო-მახლო მთებიდან მოსჩქეფს ნაკადულები, რომლებიც შემდეგ თავს იყრიან და ერთად მოედინებიან — ეს მთის მდინარე ილტოა, რომელიც განთქმულია კალმახებით.

ამ რაიონის მთავარი სიმდიდრე ეს გაუვალი ტყეა, რომლის სამრეწველო დამუშავებას აწარმოებს ახმეტის ხეტყის საწარმოო მეურნეობა. წლიურად რამდენიმე ათასი კუბმეტრი მერქანი მზად-

ილტოს სატყეო უბანზე დამზადებული ხეები მიაქვთ უბნის ზემო საწყობთან, რომელიც იმყოფება დასახლებული პუნქტის ჯაბურას ტერიტორიაზე. აქ ეს ხეები იტვირთება პლატფორმებზე და იგზავნება ახმეტის ხეტყის დამხარისხებელ საწყობში.

ფოტოზე — ხეების პლატფორმაზე დატვირთკა ავტოკრანის საშუალებით.

დება აქ უმთავრესად წიფელისა და ნაწილობრივ თელასაგან.

აქაურ მაღალი ხარისხის მერქანს იყენებენ საავეჯო მრეწველობაში, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობაში, ფანერისა და პარკეტის დამზადებისათვის. ამიტომ ახმეტის მერქნის ძირითადი მომხმარებლები არიან მარელისის ავეჯის ფაბრიკა, თბილისის საწარმოები: კუიბიშევის სახ. ქარხანა, ავეჯის ფაბრიკა და ფანერის ქარხანა; წიფელის ნაჭრები დიდი რაოდენობით ეგზავნება როსტოვის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანას; ახმეტის ხეტყის მასალას იყენებს აგრეთვე ლენინგრადის პარკეტის ქარხანა.

მთელი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ მიმდინარეობს მუშაობა ახმეტის ტყეში. შეუჩერებლად ხმაურობენ ელექტროძრავები, მღერიან ელექტროხერხები, ზათქით ეცემიან ხეები, დასრიალებენ ხის მზიდავი მძლავრი ტრაქტორები კტ-12 და C-80 — მიათრევენ წიფლისა და თელის ღეროებს სატყეო უბნების მოედნებისაკენ, სადაც მათ სჭრიან სამმეტრიან მორებად. აქ ავტოკრანები მორებს ტვირთავენ პლატფორმებზე, რის შემდეგ ვიწრო ლიანდაგით ჩამოაქვთ ახმეტის ხეტყის ქარხნის დამხარისხებელ მოედანზე.

აქედან მორების საუკეთესო ნაწილი იგზავნება ფანერის ქარხანაში. დანარჩენი მერქანი დასახერხად მიდის ხეტყის ქარხანაში, სადაც მორები იხერხება ფიცრებად და დეტალებად და ასე დამუშავებული ეგზავნებათ მომხმარებლებს.

ხეტყის საწარმოო მეურნეობის კოლექტივმა, რომელიც ტყის საწარმოო დამუშავებას აწარმოებს ილტოს და ორვილის სატყეო უბნებზე, აითვისა ახალი ტექნიკა. გუშინდელი მეურმეები, მტვირთავები, ხის მჭრელები დღეს საუკეთესოდ მართავენ ტრაქტორებს C-80, ავტომანქანებს, მოტომავლებს. მოტომავლებით ეზიდებიან ხის მორებს რკინიგზით ილტოს სატყეო უბნიდან ახმეტის ხეტყის სახერხ ქარხნამდე.



ორვილის სატყეო უბნის მოწინავე ელექტრომხერხავი ი. მურმანიშვილი, რომელიც ყოველდღიურ დავალებას 300%-ით ასრულებს, ხერხავს წიფელას.

ხეების მექანიზირებული გამოზიდვა ილტოს სატყეო უბნიდან.

გადმოზიდვას აწარმოებს ნ. ჭიპაშვილი ტრაქტორ KT — 12-ის საშუალებით.

ფოტონარკვევი
ვ. ჩერკასოვისა

მშვიდობის დიდი მომღერალი

ნ. კოჭლაშვილი

ინგლისელმა კომპოზიტორმა, კემბრიჯის საშეფო მუსიკის პროფესორმა სტივენს ჯორჯ ბერნანდმა თბილისში ყოფნისას განაცხადა: ,,ნათლად რომ წარმოიდგინოთ თუ რა სიძნელეს წარმოადგენს მშვიდობისათვის ბრძოლა კაპიტალისტურ სამყაროში, მოგახსენებთ ერთ მაგალითს, რომელიც პირადად გადაეხდა. მე მშვიდობის თემაზე დავწერე კანტატა და სათაურად ,,მშვიდობა'' ვუწოდე. როდესაც იგი წარვადგინე გამომცემლობაში, სადაც ჩემს შრომებს ყოველთვის ბეჭდავდნენ, გამომცემელმა ზერელედ გადათვალიერების შემდეგ ასეთი პასუხით დამიბრუნა: მუსიკა კარგია, მაგრამ სათაური ,,მშვიდობა'' არ მომწონს, თუ გსურთ, რომ დავბეჭდოთ, სათაური გამოუცვალეთ, აიღეთ რამე ბიბლიიდან და მიაწერეთ, ჩემი აზრით, ესე უფრო კარგი იქნება. მე, რასაკვირველია, ასე არ მოვქცეულვარ და მშვიდობისათვის მებრძოლთა შორის შეკრებილი თანხით დავბეჭდე ჩემი შრომა, რომელიც მაშინვე გავრცელდა.

ეს მაგალითი იმისათვის მოვიყვანე, რომ ნათლად წარმოიდგინოთ, რა ძნელ პირობებში უხდება მშვიდობისათვის ბრძოლა ამერიკელი რასისტების ხელში მუსიკის დიდ ტალანტს პოლ რობსონს''.

პოლ რობსონს თითქმის მთელი მსოფლიო იცნობს. მას იცნობენ ინდოელი მუშები და ეგვიპტის ფელახები, იაპონელი რიქშები და მექსიკელი პიონები. მის სახელს სიყვარულით იხსენიებს საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქე. მსოფლიოს პროგრესიულმა კაცობრიობამ იცის, რომ იგი არა მარტო მღერის მშვიდობაზე არამედ იბრძვის მშვიდობისათვის და ისეთ ძნელ პირობებში, როგორიც შექმნილია მშვიდობისათვის მებრძოლთათვის ამერიკაში.

ქალაქ ტორონტოს მუნიციპალიტეტი ოთხი დღის განმავლობაში ცოფს ყრიდა პოლ რობსონის მიმართ, რომელიც ამ ქალაქში საჯაროდ უნდა გამოსულიყო. ,,არ შეიძლება მივცეთ ნებართვა, — გაჰყვიროდნენ ისინი, — რომ სიტყვით გამოვიდეს! იმღეროს მხოლოდ!'' და პოლ რობსონს აუკრძალეს სიტყვის თქმა.

ტორონტოს ექვსი ათასი მოქალაქე — მუშები, სტუდენტები, დიასახლისები — მოვიდნენ, რათა მოესმინათ თავიანთი საყვარელი მომღერლისათვის. დარბაზში ამდენივე პოლიციელი იყო. პოლ რობსონი არ ლაპარაკობდა, ის მხოლოდ მღეროდა, მაგრამ ყველაფერი გასაგები იყო, უბრალოდ და ამასთან ერთად მრავალმნიშვნელოვნად. ის იდგა სცენაზე, დიდი და დონიერი, და მღეროდა; მისი მძლავრი ხმა ავსებდა მთელ დარბაზს. ის მღეროდა ჯო ჰილზე, ამერიკელ მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელზე, რომელიც ,,ბოსებმა'' მოჰკლეს, გმირული რესპუბლიკური ესპანეთის. ოთხ გენერალზე, მრავალმილიონიან თავისუფალ ჩინეთზე, თავის მშობლიურ დაბეჩავებულ ზანგ ხალხზე, მისისიპზე, მღეროდა საბჭოთა ხალხის ბედნიერ სიმღერებს. მან იმღერა მოცარტის სიმღერა და დაუმატა: ,,მასაც აბრალებდნენ ძირგამომთხრელ საქმიანობას''.

პიკსკვილში 1949 წლის 4 სექტემბერს გამხეცებულმა რასისტებმა მოინდომეს პოლ რობსონის მოკვლა, მათ სცადეს მისი ხმის ჩახშობა, რომელიც ხალხს თავისუფლებისაკენ, მშვიდობისაკენ მოუწოდებს, მაგრამ პოლ რობსონი განაგრძობდა მღერას. ,,იმედი ნუ გექნებათ, რომ ფერადკანიანი ხალხი მხარს დაუჭერს აგრესიულ ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომელმაც პირველმა მოსპო რასიული დისკრიმინაცია'',—განაცხადა პოლ რობსონმა პიკსკვილში. ამერიკელი რასისტები თავს დაესხნენ რობსონს პიკსკვილში, მაგრამ მომღერალს რკალივით გარსშემოერტყნენ ამერიკელი მშრომელები, რომლებმაც იგი სიკვდილს გადაარჩინეს. ასევე მარცხით დამთავრდა რასისტების თავდასხმა პოლ რობსონზე მემფისში და პიტსბურგში.

პოლ რობსონმა ნამდვილი დაფასება მხოლოდ საბჭოთა კავშირში ჰპოვა, თავისუფლებისა და ხალხთა ძმობის სამშობლოში.

,,პირველად ჩემს სიცოცხლეში ბედნიერი ვარ აქ, მოსკოვში, — განაცხადა რობსონმა 1949 წ. საბჭოთა კავშირის დედაქალაქში ყოფნისას, — მოსკოვში მე ვიპოვე გზა, რომელსაც მრავალი წლების განმავლობაში ვეძებდი. მოსკოვში გამოცოცხლდნენ, გაიშალნენ ჩემი სიმღერების ფრთები, რომელთაც დაწყებული ჰქონდათ დაბლა დაშვება უიმედობისაგან. დიახ, დიდებული ქვეყანა! მოსკოვში გატარებული ყოველი წუთი მეხსომება მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე''. რობსონს შეუყვარდა საბჭოთა ქვეყანა. ის ყოველთვის გულთბილად იგონებს საბჭოთა მუშებთან და გლეხებთან, სტუდენტებთან და ყველასთან, ვისთანაც მას უსაუბრია ან უმღერია, იმ ბედნიერ დღეებს, რომლებიც მან მშვიდობის სამშობლოში გაატარა. ჩვენ ვიცით, რომ როცა რობსონი მღერის თავის საყვარელ სიმღერას, მას თვალწინ წარმოუდგება ხოლმე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა; ტყეებითა და ველებით, უკრაინის ტრამალებითა და კავკასიონის ლამაზი მწვერვალებით, ციმბირის ტაიგებითა და შუა აზიის ბაღებით შემკობილი მშვიდობის ურყევი ბურჯი, სოციალიზმის ქვეყანა.

პოლ რობსონს უყვარს საბჭოთა კავშირი, მან კარგად შეისწავლა რუსული ენა, მან თავისი ვაჟი ჩამოიყვანა ჩვენს ქვეყანაში და რუსულ სკოლაში მიაბარა. თავადაც უნდოდა დარჩენილიყო საბჭოების ქვეყანაში, მაგრამ როგორც მან განაცხადა — ისწავლა ის გზა, რითაც იბრძოლებს თავის ქვეყანაში თავისუფლებისათვის, დემოკრატიისათვის და ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის. ის დაბრუნდა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მთელი მსოფლიოს პროგრესიული კაცობრიობა დიდი სიხარულით შეხვდა ცნობას იმის შესახებ, რომ მშვიდობის დიდ მომღერალს პოლ რობსონს მიენიჭა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის საერთაშორისო სტალინური პრემია''.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლ რობსონი დაიბადა 1898 წელს. მამა მისი მონა იყო, რომელიც ჩრდილოეთში გაიქცა და ნიუ ჯერსში დასახლდა. ახლაც რობსონი მწარედ იგონებს თავის უსიხარულო ბავშვობას. იგი ხშირად შიმშილობდა და ფეხშიშველა დადიოდა, წვალობდა, ბევრს მუშაობდა, რომ ესწავლა. სკოლაში პირველი მოწაფე იყო და საუკეთესო სპორტსმენი. მან გადალახა რასიული სიძულვილის ბარიერი და რატჯერსის ძველ კონსერვატიულ უნივერსიტეტში შევიდა. უნივერსიტეტის ისტორიაში ეს იყო მესამე შემთხვევა, როდესაც შავკანიანი მიიღეს სასწავლებლად. და აქაც რობსონი ბრწყინვალე სტუდენტია. ამასთან, როგორც უნივერსიტეტის ფეხბურთის გუნდის მოთამაშე, ის იღებს ,,სრულიად ამერიკის პრიზს ფეხბურთში'' — უმაღლეს ჯილდოს ფეხბურთელთათვის ამერიკაში.

,,ეს ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა, ფეხბურთის ისტორიაში'' — წერდნენ მაშინდელ ამერიკულ პრესაში.

რატჯერსის უნივერსიტეტის შემდეგ პოლ რობსონი ამთავრებს კოლუმბიის უნივერსიტეტის იურიდიულ სკოლას, რის შემდეგაც მას იწვევენ იურისტად ერთ-ერთ მსხვილ ფირმაში, მაგრამ ადმინისტრაციასთან ხშირი უთანხმოების გამო, მას იქიდან იგზავნენ.

რობსონი ტოვებს იურისტის პროფესიას და მიდის თეატრში, სადაც უცბად დიდ ტალანტს ამჟღავნებს. 1924 წლიდან დაწყებული, როდესაც ის პირველად გამოჩნდა სცენაზე ოუჯინა რნეილას ერთ-ერთ პიესაში, 1934 წლამდე შექსპირის ოტელოს ბრწყინვალე ტრიუმფამდე, მისი მიღწევები განუწყვეტლივ იზრდებოდა. 1936—1937 წლებში დიდი არტისტი თავის დროსა და გამოცდილებებს ინგლისის სახალხო თეატრის საქმეს ანდომებს.

არავის არ უცდია პოლ რობსონისთვის ხმის დაყენება. უნდა ითქვას, რომ მან თვითონ განავითარა თავისი ბუნებრივი ვოკალური მონაცემები და მიაღწია იმ საუცხო ხმოვანებას, რომელსაც ყველა აღტაცებაში მოჰყავს. ის ამჟამად ცნობილია, როგორც დიდი მომღერალი, მაგრამ მან სიმღერა დაიწყო სცენიდან მაშინ, როდესაც უკვე ცნობილი დრამატიული მსახიობი იყო.

თავის სიმღერებში რობსონი გადმოსცემს უსაზღვრო სიყვარულს ადამიანებისადმი, ცხოვრებისადმი, ყველაფრისადმი, რაც პროგრესიული და მშვენიერია დედამიწაზე.

პოლ რობსონის კონცერტების პროგრამა მდიდარია სხვადასხვა ხალხთა მუსიკალური ნაწარმოებებით. ის მღერის საბჭოთა კოლმეურნეების სიმღერებს, გერმანულ სიმღერას თავისუფლებაზე, ებრაულ სიმღერას პარტიზან ანტიფაშისტებზე, ესპანეთის ინტერნაციონალურ ბრიგადის ბრძოლის მარშს, ინგლისურ ლირიკულ სიმღერებს და, რასაკვირველია, თავისი ერის სიმღერას — დანაღვლიანებულსა და ნაზს, მებრძოლსა და მტრისადმი სიძულვილით სავსეს.

პოლ რობსონი მსოფლიოში მშვიდობის დაცვის მტკიცე ჯარისკაცია. აი ამიტომ არის მისი სიმღერები ყველასათვის სასიამოვნო და გასაგები. სწორედ ხალხისადმი სიყვარულში იკრეფს იგი ძალას შეუპოვარი ბრძოლისათვის უადამიანობასა და ბარბაროსობის წინააღმდეგ.

,,ჩვენი ძალები იზრდებიან, მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე'' — მძლავრად გაისმის დიდი მომღერლის ხმა.

მეკოპრეები

თენგიზ გოგოლაძე

მხატვარი ზ. ლომაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობა

დილის ექვსი საათი იყო.

სასტუმრო „თბილისის“ მესამე სართულში სიწყნარე სუფევდა. ღამენათევი მორიგე ქალი რომელიღაც წიგნზე ყვინთავდა, დილის ტკბილ ძილს თავს ძლივს ართმევდა. ირგვლივ დღის სინათლე იდგა, მაგრამ მორიგეს მაგიდის ნათურის გამორთვა დავიწყებოდა.

დერეფნის იატაკი რაღაცამ შეაზანზარა, შეშფოთებულ მორიგეს მიწისძვრა ეგონა, უძილობით ფერდაკარგული სახე უფრო მეტად გაუფითრდა, ზეზე წამოვარდა. იქვე, მახლობელ ნომრიდან ხმაური მოესმა, რაღაც დაეცა რბილად, მაგრამ ძლიერად, შემდეგ ასეთი დაცემა კიდევ განმეორდა.

ერთ-ერთი ნომრიდან მოხუცი კაცი გამოჩნდა.

— რა ამბავია? — ჰკითხა მორიგე ქალს, რომელიც „საეჭვოდ“ ახმაურებულ ნომრის წინ იდგა და კარზე აკაკუნებდა.

მეორე ნომრიდან გულგახეთქილი ქალი გამოვარდა, ცალ ფეხზე ტუფლი მოერგო, მეორეთი ჩუსტი აეთრია.

— რა ამბავია? — ენის ბორძიკით თქვა უზომოდ შეშინებულმა.

მორიგემ რამდენჯერმე დააკაკუნა კარზე, მაგრამ ოთახიდან არავის მიუქცევია მისთვის ყურადღება, რბილი და მძიმე დაცემისაგან იატაკი ისევ ზანზარებდა. ბოლოს, მორიგე ქალი იძულებული გახდა თვითონ გაეღო ნომერი.

ცნობისმოყვარე და შეშინებულ მდგმურებს კიდევ რამდენიმე კაცი შემოემატა. ისინი ყველანი ღია კარს მიაწყდნენ და დაინახეს: ორი მდევივით ჩასხმული, წელზევით შიშველი ვაჟკაცი ერთმანეთს დასჭიდებოდა.

მოხუცს გაეღიმა ამათ დანახვაზე.

— ვუჩივლებ! ძილს უფრთხობენ ხალხს! — გაკაპასდა მდგმური ქალი, — ისე დაეჯახნენ ჩემს კედელს, მეგონა ახლა გადმოინგრევა და ქვეშ მოვყვები მეთქი... საწოლი კედელთან დგას, თხელი კედელია, გეფიცებით... ერთი-ორი დაჯახება კიდევ და...

მოჭიდავეებმა დაუპატიჟებელი სტუმრები შენიშნეს და წამოდგნენ. გახვითქულები იყვნენ, საბერველივით ქშინავდნენ. მათ ბოდიში მოიხადეს და ზაქებივით მორჩილად დადგნენ მეზობლების წინაშე.

ოთახთან შეგროვილი მდგმურები ყაყანით დაიშალნენ.

— მოჭიდავეები არიან? — იკითხა ვილაცამ.

— რა ვიცი... წუხელ თორმეტ საათზე ჩამოვიდნენ საიდანღაც.

— ასე მეგონა ჩემს საწოლზე დამეცნენ... კედელი თხელია... — ერთხელ კიდევ დაიწუწუნა ყველაზე მეტად შეშინებულმა ქალმა და ცალი ჩუსტის ფლატუნით თავის ნომრისაკენ წავიდა.

ცოტა ხნის შემდეგ ახალგაზრდების წინაშე მარტო მოხუცი კაცი იდგა. იგი ერთ ხანს კართან იყო გაჩერებული და ღიმილით შეჰყურებდა მათ.

— კარგად ჭიდაობდით, — თქვა მოწონებით. ამ თქმაში გულმოკლული კაცის სინანული იგრძნობოდა, კაცისა, რომელიც დაბერდა და სხვის ბედს შენატრის.

— საიდან ხართ, ბიჭებო?

— გორის რაიონიდან. მობრძანდით, ძია კაცო, დაბრძანდით.

მოხუცი კაცი მაშინვე ჩამოჯდა.

— შეჯიბრზე ჩამოხვედით?

— რა? სადმე არი შეჯიბრი ჭიდაობაში, თუ?

— როგორ, თქვენ უკეთ არ უნდა იცოდეთ?

— არა, ჩვენ ლექტორებთან არავინ გვაჭიდავებს, თორემ...

— როგორ თუ ლექტორებთან... ხუმრობთ?

— არა ძია კაცო, სახუმრო რა გვაქვს... ჩვენ ტრაქტორისტები ვართ, აქ ინსტიტუტში ვსწავლობთ დაუსწრებლად, ახლა გამოცდების ჩასაბარებლად ჩამოვედით...

— ჰოო, მე კი მიგონა... კეთილი, კეთილი, — მაგრამ ეს ჭიდაობა ასე ადრე რამ მოგაფიქრათ?

— დაჩვეულები ვართ... ყოველ ცისმარე, ემტიეს ბრძოლა — ვჭიდაობთ ხოლმე.

— რომელი სჯობნით?

— არც ერთი, ხან მე ვარ ქვეშ, ხან ესა.

— რა გქვიათ, ბიჭებო?

— მე შოთა, ამას მიტო.

მოხუცი ისე გაერთო მათთან საუბარში, რომ თავის ოთახში გასვლა გადაავიწყდა.

კარგი მეგობრები იყვნენ. საშუალო სკოლაში ერთად სწავლობდნენ, მერე მანქანა-ტრაქტორთა სადგურში ტრაქტორისტობა დაიწყეს, და თან უმაღლეს სასწავლებელში განაგრძეს სწავლა.

გარეგნობით, საქმით, სიტყვა-პასუხით, ზრდილობით და სხვა ბევრი რამით ერთმანეთს ძლიერ წააგავდნენ შოთა და მიტო, მაგრამ სიყვარულში სხვადასხვანი გამოდგნენ. ვინც შოთას მოსწონდა, — მიტოს თვალში არ მოსდიოდა. არც შოთას ეპიტნავებოდა მიტოს არჩევანი. მეგობრები ერთმანეთისათვის კარგს ცდილობდნენ და ყოველთვის თავისი გემოვნებით არჩევდნენ ქალიშვილებს. შოთას გულს უწვავდნენ მაღალი, ტანადრილი, ოდნავ გამხდარი გოგონები, მიტო კი დაბალსა და ჩასუქებულზე იჭერდა თვალს. ერთი მეტად ახირებული ჩვეულება ჰქონდათ: პატარაობიდანვე მიეჩვევინენ და თითქმის ყოველ დღე ეჭიდავებოდნენ ერთმანეთს.

სასტუმროში რომ დაბინავდნენ და დილით თვალები აჭყიტეს, უწინ ის იკითხეს, აბა აქ სად დავეჭიდოთო?

— გამოდი, ადგილი გვეყოფა, — თქვა მიტომ.

— საწოლი ქვემოთ ჩასწი, აქეთ დიდი ადგილი დარჩება.

და შემდეგ ხელგაშლილი მეგობრები ერთმანეთს შეებნენ.

* * *

იმ დღეს ინსტიტუტში მივიდნენ, გაიგეს როდის რას აბარებდნენ, გამოცდების ცხრილი გადაიწერეს და თავიანთ ოთახში გაიკრეს.

მთელი წლის განმავლობაში ემზადებოდნენ, ცდილობდნენ გამოცდებზე არ შერცხვენილიყვნენ და კვლავინდებურად, როგორც წინა კურსებზე, მეოთხე კურსზეც კარგად ჩაებარებინათ საგნები.

საგამოცდო ცხრილს ბოლოში მიტომ ორი სვეტი გაუკეთა. ერთს თავში თავისი სახელი დააწერა, მეორის თავში — შოთას სახელი. საგნების გასწვრივ მეგობრებს თავ-თავის სვეტში მიღებული ნიშანი უნდა ჩაეწერათ.

მდგმურებს ამბავი მიეტანათ სასტუმროს დირექტორისთვის. საღამოს მოვიდა იგი. კომენდანტიც მოჰყვა. „თუ კიდევ განმეორდება, თუ კიდევ ჩაიდენთ“... და ვინ იცის რა არ სთქვა სასტუმროს დირექტორმა, მეგობრებს გასახლებითაც კი დაემუქრა.

— რა ვქნათ? — ჩაფიქრდა მიტო, თითქოს აუცილებელი დიდი საქმე აუკრძალესო.

მეორე დილით ადრიან შოთაზე უწინ წამოხტა საწოლიდან.

— სიხლი მიდუღს, გადმო, — შეუძახა მეგობარს.

რადიოთი ამ დროს დილის გამამხნევებელ ვარჯიშს გადმოსცემდნენ. შოთას და მიტოს არაერთხელ უთქვამთ: ეს ვარჯიში ქალების, ან ხუხტი ვაჟების საქმეა, რომ ცოტა მოლონიერდნენო. თვითონ ჭიდაობას არჩევდნენ. ამაში მეტ სიამოვნებას გრძნობდნენ, კარგადაც ივარჯიშებდნენ სხეულს.

მიტო თვალებს აბრიალებდა და ბრძოლამოწყურებული ბუღა ხარივით შემართულიყო.

შოთა უფრო თავდაჭერილი ჩანდა. მეგობარს ურჩია არ ეჭიდავათ, რადგან მეზობლებს კვლავ შიშით გამოაღვიძებდნენ. არა და რა ექნათ არ იცოდნენ, კუნთების გავარჯიშება უნდოდათ.

— ეჰ! — ნაღვლიანად ამოთქვა მიტომ და საწოლში დაეჯაჯგურა შოთას.

— ადე, ბავშვების ვარჯიში მაინც გავაკეთოთ.

* * *

სამი-ოთხი დღის შემდეგ საგამოცდო ცხრილში პირველი ნიშნები ჩასწერეს მეგობრებმა.

თბილისში თანდათან დაცხა. მეგობრებს ერთი სული ჰქონდათ მალე დაემთავრებინათ გამოცდები, თავიანთ სოფელს დაბრუნებოდნენ, ჩრდილიან ბაღებსა და გრილნიავიან გაშლილ მინდორ-ველს.

სასტუმროში პირველი ჭიდაობის შემდეგ ხელი აღარ წაუვლიათ ერთმანეთისავის.

გამოცდები მიიწურა. მეგობრებმა კარგად დაამთავრეს ეს სასწავლო წელიც. სოფელში დაბრუნების წინა დღის საღამოს ინსტიტუტის კლუბში სტუდენტებს მონაწილეობით კონცერტი გაიმართა.

შოთა და მიტო გვიან მივიდნენ კლუბში. იქ იმდენი ხალხი იყო, რომ მეგობრებმა კარებთან ძლივს გამონახეს დასადგომი ადგილი. ისინი ნაცნობი ქალიშვილის გვერდით მოხვდნენ.

როცა ჩვენი მეგობრები კონცერტზე მოვიდნენ, დარბაზში მყოფი სტუდენტები მჭუხარე ტაშით აჯილდოებდნენ ვილაცას.

— ვინ არის, მერი? — ჰკითხა მიტომ ქალიშვილს, რომელიც დაბალი იყო და ფეხის წვერებზე დგებოდა, რომ მომღერალი დაენახა.



მიტომ სცენა შეათვალიერა და იქ როიალთან, მაღალი ტანის ოდნავ გამხდარ ქალიშვილს შეხედა. ქალიშვილი თავის ამხანაგებს მორცხვად უკრავდა თავს.

— მექანიზაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებულია, ნანა შარაბიძე... ნეტა მაგას, — უთხრა მერიმ მიტოს, — ჩვენ კიდევ ერთი წელი გვინდა...

მერი სხვა ფაკულტეტიდან იყო. შარშან გაეცნო მიტოს და შოთას. მიტოს მოეწონა უცხო სიმღერა, თუმცა კი ვერ გაიგო რას მღეროდა კურსდამთავრებული.

მიტოს შეიძლება მოსმენილიც ქონდა ეს სიმღერა... შეიძლება კი არა, უთუოდ მოისმენდა. — სოფელში რადიომიმღები „ურალი“ უდგას შინ. მოისმენდა, მაგრამ სმენა არ უვარგოდა. ქართულ სიმღერებსაც კი ვერ ივახსოვრებდა რიგიანად. ყველას თითქმის ერთ კილოზე მღეროდა და ისიც უხეიროდ.

მალე დარბაზში ტაში დაცხრა და მომღერალმა ქალიშვილმა თავისი ამხანაგების თხოვნით ილიას „ხმა გულისა“ იმღერა. ისეთი გრძნობით, ისეთი სინაზით და სიტკბოებით გადმოიღვარა მისი ხმა დარბაზში, რომ შოთას ლამის

გულის ყველა ძაფი ჩასწყდა. ქალიშვილის თვალები, შუქიანი, დიდრონი შავი თვალები, რომლებიც შორიდანაც მკაფიოდ მოჩანდნენ და მთელი სიმძაფრით იგრძნობოდა მათი ცხოველმყოფელობა, ანდამატს მატებდა ვაუის აჩქროლებულ გულს.

მიტოს წარბიც არ შერხეულა. მან გულგრილად მოისმინა სიმღერა, მერის წამოსებრ რაღაცას გადაულაპარაკებდა და ამით გვერდში მყოფთ ამხედრებდა.

— რა თვალები აქვს, მიტო, რა ხმა!... — დარდიანად ამოთქვა შოთამ, როცა კონცერტის პირველი განყოფილება დამთავრდა და დარბაზიდან გამოვიდნენ,— ვინ არის, უნდა გავიგო... დღემდე აქ არ მინახავს...

— მექანიზაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებულია, წელან მერიმ არა სთქვა. მოგეწონა?

— ჰო, ძალიან მომეწონა, ბიჭო. აბა თუ მეგობარი ხარ, ახლა გამიწიე აკთანდილობა და ის გოგო გამაცანი.

— როგორ უნდა გაგაცნო... ჯერ მე უნდა გავიცნო, მერე შენ... ამას დრო უნდა... ჩვენ კი ხვალ დილით გუდანბადი უნდა ავიკრათ და სოფელში წავიდეთ.

— რა იმედი მომეცი!

დადარდიანდა შოთა. მას კიდევ ყურებში ჩაესმოდა ქალიშვილის ხმა და ისე ეჩვენებოდა, თითქოს ამ სიმღერას, მხოლოდ ამ კდემამოსილ სინარნარეს უნდა მოექსოვა მისი ცხოვრების დანარჩენი ნაწილი. არა, სხვას არაფერს არ შეეძლო მისი ცხოვრების დამშვენება, გაბედნიერება, მასში სიხარულის სხივის შეტანა.

და იმ დროს, როცა იგი ღელავდა, როცა მის გულს ასე უცებ რაღაც კარგი რამ მოფენოდა, მიტო გულგრილად უყურებდა მას.

კონცერტის მეორე განყოფილება დაიწყო.

ანაზდად დარბაზის მეორე კარებთან, სტუდენტებს შორის, შოთამ ნანას მოჰკრა თვალი. ერთ ხანს ისეთი გრძნობით უყურა, თითქოს სურდა თვალთა სხივებით იმ ადგილიდან თავის გულში გადმოეყვანა და იქ მიეცა სამუდამო ბინა სანატრელი ქალიშვილისათვის.

— აგერ შენი მტრედი, — მოუბრუნდა მიტო შოთას. მასაც შეემჩნია იგი.

— ვხედავ.

— წამოდი, იქით კარებში გავჩერდეთ, შეიძლება გავიცნოთ.

— წამოდი.

წინ მიტო წავიდა, უკან შოთა მიჰყვა.

ბევრი ცდისა და წვალების შემდეგ, როგორც იქნა, ნანას გვერდით მოხვდნენ. შოთამ ახლოდან შეხედა მის სახეს. გულმა უარესად ისეთი ძალით მოუჯახუნა მკერდს, თითქოს გულისფიცარი უნდა გამოანგრიოსო. შოთამ სიტყვა ვერ მოაგო ენას.

— კარგი იყო კონსერვატორია დაგემთავრებინათ, — გაბედულად გამოელაპარაკა მიტო ქალიშვილს, ეგონა ამით გამოიწვევდა საუბარში და კიდევაც გაიცნობდა, მერე უბრალოდ ეტყოდა შოთაზე, ეს ჩემი მეგობარიაო და შოთას საქმე ალჩუზე დაჯდებოდა.

ქალიშვილმა მოხედა უცნობ ვაუს.

— რატომ მირჩევთ კონსერვატორიას? თქვენ საიდან იცით, რომ მე კონსერვატორია არა მაქვს დამთავრებული? — ჰკითხა მან მიტოს.

— არა. ისე გითხარით, კარგი იყო მეთქი... ქალის საქმე არ არის ზეთში და ბენზინში ხელის ფათური... მერე თქვენ...

— რატომ სწუხდებით ჩემს პროფესიაზე?

— ემტეესში ვეღარ იმღერებ... მინდორში სიცხით დაიწვები...

— სად ბრძანდებოდით ამ ხუთი წლის მანძილზე რომ ეგ რჩევა მოგეცათ!... — უცებ მკვახედ შეაწყვეტინა ნანამ და ზურგი შეაქცია მიტოს. ამით დამთავრდა გაცნობა.

კონცერტიდან გვიან წამოვიდნენ.

აღრენილი იყო შოთა. მიტოზე იყო შემომწყრალი, მაგრამ გზაში სიტყვა არ დაუძრავს. არც მიტო ამბობდა რამეს. ქალიშვილის გაცნობა ვერ გამოუვიდა, სიტყვა ვერ ააწყო ისე, რომ ხანგრძლივად ესაუბრნა ნანასთან. რა გული ჰქონია?! როგორ მკვახედ უპასუხა. მიტო მაშინ ფიქრობდა, რომ ჩემი სიტყვებით მის გულს მოვიგებო, ამიტომ „შესჩივლა“ კონსერვატორია გერჩივნა ინჟინრობასო, ამით კი ქალიშვილის წყრომა გამოიწვია, მერე როგორ გაგულისდა, ვინ იცის თავის დღეში სახეშიც კი აღარ შემოხედოს, თორემ ხმის გაცემას ვინ ჩივის.

შოთას კი ისე მოეჩვენა, თითქოს მის წინ სიხარულის, სიყვარულის, ნეტარების უტკბილეს სამყაროში შესასვლელი კარი დაიხურა.

მეხუთე ნომერი ტრამვაი კარგა ხანს მირახრახებდა, მგზავრები ცოტანი იყვნენ. ღამის პირველი საათი დაიწყო. მეგობრები პირისპირ ისხდნენ, მაგრამ ხმას არ სცემდნენ ერთმანეთს.

მიტოს თავის თავზე მოსდიოდა გული, რომ ამხანაგს რიგიანი ავთანდილობა ვერ გაუწია, თორემ „ეშმაკმა წამიღოს, თუ რაშეს ვფიქრობდე ნანაზე, — ამბობდა გულში მიტო, — საქმე რომ იყოს მე მერის ვამჯობინებდი“.

სასტუმრო ოთახში რომ შევიდნენ, შოთა მიტოს წინ გაჩერდა.

— ეჰ, შენ სულ დააგვიანგვინე საქმე. განა ქალიშვილებს ასე ელაპარაკებიან?

— მაგარი ყოფილა, ძმაო... — თქვა მიტომ. ერთ ხანს ჩაფიქრდა, მერე თავი აიღო და შოთას უთხრა:

— მოდი მეჯიდავე. მე ხელს არ გახლებ... ამიღე და დამანარცხე... სხვა რა ვქნა... ვიცი დანაშაულისათვის თავს არ მომჭრი და არც დედაკაცივით გამლანძღავ... აჰა, მოდი, ვინც ამის შემდეგ ჩვენში რაიმე დაუშავოს ერთიმეორეს — ეს იყოს ჩვენი სასჯელი.

— კარგი, დავიმახსოვრებ და სოფელში გაზღვევინებ.

* * *

მეორე დღის საღამოს მეგობრები ახალდაბის ემტეესში მივიდნენ. ისინი აქ მუშაობდნენ.

— ლამის ყველა ინჟინრები გახდეთ, ტყვიაველებმა კი გვაჯობეს და გარდამავალი დროშა წაიღეს, — ამ სიტყვებით შეხვდა შოთასა და მიტოს მანქანა-ტრაქტორთა სადგურის დირექტორი ონოფრე ივანიშვილი.

ტრაქტორისტებმა იცოდნენ ტყვიაველების გამარჯვების ამბავი, ისიც იცოდნენ, რომ რაისაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მათ წაიღეს სარემონტო სამუშაოების დროზე და ხარისხიანად ჩატარებისათვის. ახალდაბელები ბევრით არაფრით ჩამორჩნენ ტყვიაველებს, მაგრამ მცირედმაც კი დიდი საქმე გააკეთა და სანამ მოსავლის აღება არ დამთავრდებოდა, გარდამავალ დროშას ტყვიავის მანქანა-ტრაქტორთა სადგურში უნდა ეფრიალნა, ახალი ამბავი არ უთქვამს ონოფრე ივანიშვილს მეგობრებისათვის, მას ვერ მოინელებინა თავისი დამარცხება და ემტეესის თანამშრომლებს სულ ამას ეუბნებოდა: „ლამის ყველა ინჟინრები გახდეთ, ტყვიაველებმა კი გვაჯობეს და გარდამავალი დროშა წაიღესო“. დირექტორის ეს სიტყვები ყველას ედო გულში და ახლა იმისათვის იბრძოდნენ, რომ დროშა უთუოდ უკან წამოეღოთ.

— ვნახოთ, მოსავლის აღებაში რა ვაუკაცები არიან ტყვიაველები!

დირექტორის გასაგონად დაიქადეს შოთამ და მიტომ და ონოფრეს ისე შეხედეს, გეგონებოდათ მარტო თვალების ცეცხლით აპირებდნენ ქვეყნის საქმის გაკეთებასო.

ვაუკაცის პირობა — პირობაა. შოთას და მიტოს მსგავსი ბიჭები ახალდაბის ემტეესში ბევრნი იყვნენ. მათ თავიანთი თავისთვის ვერ ეპატიებინათ დამარცხება. მკა დაიწყო თუ არა, პირველივე დღეს მანქანა-ტრაქტორთა სადგურის სადისპეჩეროში გასაცარი ამბები მოდიოდა.

შოთა და მიტო ერთ კოლმეურნეობაში მოხვდნენ და როგორც კარგ მეგობრებს, გვერდი-გვერდ მიჰყავთ თავიანთი მანქანები. კომბაინერები მარჯვე ბიჭები იყვნენ და მათ საქმეზე ვინმეს რომ ეთქვა: „არაუშავს რაო“ — ცოდვა იქნებოდა.

რა დიდი ყანებია! მწიფე თავთუხის თავბრუდამხვევი სურნელი დგას ირგვლივ.

ალეთნიდან დაისამდე ისე აჭერს მზე, გეგონებათ მხოლოდ ახლა ეშურება პურის ყანის დამწიფებასო. მზეზე დაიწვნენ ბიჭები, გაშავდნენ, უფრო ძალოვანნი გამოჩდნენ.

ქვიყანა გარეთაა, დიდი და პატარა ყანას შესევია, მთელი წლის მონაგარს იწევენ.

ერთი კვირის თავზე ტყვიაველები წინ წავიდნენ.

ონოფრე ივანიშვილი აღრენილი დარბის კოლმეურნეობიდან კოლმეურნეობაში. თითქოს მარჯვედ მიდის საქმე, გეგმა გადაჭარბებით სრულდება, ტყვიაველებს კი ვერ ეწევიან.

— ტემპს მოუმატეთ ბიჭებო, ტემპს. თითქოს ყველანი ინჟინრები ხართ, გარდამავალი დროშა კი სხვასა აქვს, სხვასა რჩება... ტემპი, ტემპი... — გაიძახოდა ონოფრე და თავის „გაზიკს“ ხან აქეთ მიაქროლებდა, ხან იქით.

დღე და ღამე სწორდება, მოსვენება არავისა აქვს. ხორბლით დატვირთული მანქანა მანქანაზე მიდის დამზადების პუნქტისაკენ. მეორე კვირის თავზე ახალდაბელებმა ტყვიაველებს გაუსწრეს და უნდა გენახათ ონოფრე ივანიშვილის სიხარული.

იმ დღეს რაისაბჭოში გაიგო ყველაზე წინ რომ იყო რაიონის ემტეესებს შორის. გორიდან პირდაპირ ტყვიავში აფრინა თავისი მანქანა. უნდა ენახა როგორ მუშაობდნენ ტყვიაველები. დირექტორის კაბინეტში ყოფნისას მიიხედ-მოიხედა ონოფრემ, მაგრამ დროშა იქ ვერ დაინახა.

— დროშა რა უყავით? — იკითხა ონოფრემ.

— პირველმა წარმატებამ გაგახარა და დროშის წაღებას ახლავე ფიქრობ? ჯერ ადრეა, ჩემო ონოფრე... გარდამავალი დროშა ემტეესის მოწინავე აგრეგატზე ფრიალებს, — მიუგო ტყვიავის ემტეესის დირექტორმა.

ონოფრეს მოუნდა იმ მოწინავე კომბაინის ნახვა.

თვითმავალი კომბაინი იყო. მარჯვედ მიდიოდა ყანაში. კომბაინერი ზიდ თავმომწონედ იჯდა, ლაღად მღეროდა, მის თავზე ალისფერი დროშა ფრიალებდა... და ეს ისეთი კარგი სანახავი იყო, რომ ონოფრეს მეტი ცეცხლით აუძგერდა გული.

ის მოწინავე აგრეგატი შოთამ და მიტომ დაბინდებისას შორს, მინდვრის ჰორიზონტზე დაინახეს.

* * *

ახალდაბელებმა თავისი გაიტანეს.

საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოების შემაჯამებელ თათბირიდან, რომელიც აგვისტოს ერთ დღეს რაისაბჭოში ჩატარდა, ონოფრე ემტეესში მივიდა, ტრაქტორისტებს, კომბაინერებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს, ყველა მოსამსახურეს თავი მოუყარა და მხურვალედ მიულოცა გამარჯვება.

მიტინგზე დამსწრეებმა აირჩიეს სამკაციანი დელეგაცია, რომელიც ტყვიავის ემტეესში უნდა წასულიყო და საზეიმო ვითარებაში დროშა წამოეღო.

მიტო, როგორც მოწინავე ბრიგადირი, დელეგაციის ხელმძღვანელად დანიშნეს.

მიტინგის შემდეგ ონოფრეს დელეგაციასთან ჰქონდა მცირე თათბირი.

— ჩემი მანქანით წახვალთ ხვალ დილით, — დაუწყო დარიგება, — მიხვალთ... ყოყოჩობა და ქედმაღლობა არ გამოიჩინოთ... იქ უთუოდ ჩატარდება მიტინგი, დამარცხებულები მოგვილოცავენ... თქვენც უნდა უთხრათ რაიმე... ახლავე უნდა დავ-

(დასასრული მე-11 გვ.)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი. კრამსკოი

ქალის პორტრეტი

ი. შიშკინი
პეიზაჟი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი. აივაზოვსკი. ზღვა

ა. ვანნუცოვი
პეიზაჟი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი. ლევერი
პეიზაჟი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ. მაკოვსკი

დაიღალა

წეროთ სიტყვა... აბა, ბიჭებო, ვისაც რაიმე კარგი აზრი მოგადგეთ—ნუ დაიშურებთ.

ახალდაბელებს ელოდნენ კანტორის წინ შეკრებილი ტყვიაველი ემტეესელები.

პარტბიუროს მდივანი ჭიშკართან შეეგება სტუმრებს.

— მობრძანდით, მობრძანდით.

დელეგატები შეიწვიეს დირექტორის კაბინეტში, სადაც ათამდე კაცს მოეყარა თავი. ესენი ტყვიავის ემტეესის თავკაცები იყვნენ. მათ შორის რამდენიმე ქალიც ერია.

მიტომ დირექტორიდან დაწყებული ყველას ჩამოართვა ხელი.

სულ ბოლოს წიგნების კარადასთან გაჩერებულ ქალიშვილს შეხედა, რომელსაც სპეცტანსაცმელი ეცვა.

— ხეაგულისა — თავისდაუნებლიეთ წაპოიძახა მიტომ და ძველი კარგა ხნის ნაცნობივით გაუწოდა ხელი.

ქალიშვილს გაეღიმა. მან მაშინვე შეიცნო ის მსმენელი, კონსერვატორიაში შესვლას რომ ურჩევდა. თუმცა მაშინ ზურგი შეაქცია მიტოს და მასთან ლაპარაკიც კი არ მოისურვა, ახლა, როგორც გამარჯვებული ემტეესის დელეგაციის ხელმძღვანელს ხელი ჩამოართვა.

სანამ დელეგაციის დანარჩენი წევრები მასპინძლებს ხელს ართმევდნენ, მიტომ მოასწრო ნანასთან გასაუბრება.

— ახლა სულ სხვანაირი ხართ... აქ მუშაობთ?

— დიახ, ერთი თვეა აქა ვარ... მე კი თქვენ სრულიადაც არ გელოდით...

— ხდება ხოლმე ასე... ახლა გარდამავალ დროშას წავიღებთ, — თავმომწონედ მიუგო მიტომ.

მიტომ ამ სიტყვების თქმისთანვე სახე იქით წაიღო, ემტეესის დირექტორს შეხედა, რომელმაც საერთო ყურადღება მოითხოვა...

მიტინგის შემდეგ, მიტო თავმომწონედ ჩაჯდა მანქანაში, ტყვიაველებს აპაყად გადახედა, გარდამავალი დროშის ტარი გულდაგულ მიამაგრა მანქანის კარებთან და დროშას კალთა გაუშალა. მანქანას ნანა მიუახლოვდა.

— ზეიმობთ? არ გეგონოთ დიდ ხანს შეგრჩეთ. თქვენ მე თბილისში შეგეცოდეთ, რა ქალიშვილის საქმეა ზეთში და ბენზინში ხელის ფათურიო... დადგება დრო, ჩემის ხელით წამოვიღებ მაგ დროშას.

და ქალიშვილმა, როგორც იმ სალამოს, ინსტიტუტში გამართულ კონცერტზე, ახლაც ისე შეაქცია ზურგი მიტოს.

მიტოს თვალწინ წარმოუდგა შოთა, ნანას სიყვარულით დამთვრალი შოთა, რომელსაც თბილისიდან წამოსვლის შემდეგ მოსვენება აღარ ჰქონია, დარდობდა, მთელი არსებით განიცდიდა თავის პირველ სიყვარულს.

კარგ ამბავს ჩაუტანს მიტო შოთას. რა ქნას მიტომ, ვერ მონახა საერთო ენა ნანასთან... ახლა ნანა ახლოა, შოთა მალე გაიცნობს, იქნებ თვითონ მოახერხოს რამე...

ო, როგორ გაახარებს მეგობარს!

* * *

ახალდაბელების ზეიმს საზღვარი არ ჭონდა.

ონოფრემ მაგრად ჩაბღუჯა დროშის ტარი და თავის კაბინეტში შეიტანა. კანტორის წინ მოგროვილი ემტეესელები დიდ ხანს კიდევ არ იშლებოდნენ.

მიტო გვიან შეხვდა შოთას.

— ვნახე, შოთა, ის ვნახე, — მიახარა მიტომ და ისე მოეხვია ძმადნაფიცს, თითქოს აგერ ათეული წელი იქნება რაც არ უნახავსო.

— ვინ ნახე, ბიჭო, რას ამბობ, შენ რაღაც ძალზე გახარებული ჩანხარ, ნანა ხომ არ შეგხვდა სადმე?

— ჰო, ტყვიავის ემტეესშია ინჟინრად.

— შენ კი გენაცვალე, ბიჭო! — დაიძახა სიხარულით გადარეულმა შოთამ და მეგობარი გულში ჩაიკრა.

მერე ჭადრის ქვეშ დასხდნენ. შოთას სახეს ისეთი ნათელი სხივი ეფინა, თითქოს მისი გულის სატრფო უკვე გვერდში ყოლოდეს...

— ახლა ისე ვიბრძოლეს, ისე ვიმუშავებ, რომ ჩემი სახელი ტყვიაველებს წამდაუწუმ სალაპარაკოდ ჰქონდეთ... მე მჯერა, რომ ნანას გამარჯვებული ვაუკაცი შეუყვარდება... თუ ბიჭი ვარ...

ოცნებით თვალები მილულა შოთამ, თვალწინ წარმოუდგა თბილისი, ინსტიტუტი, კონცერტი, ნანა... ო, რა მზიანი, რა სიცოცხლით სავსე თვალები აქვს... შოთა ურუანტელმა გასცრა, მერე კუნთების საოცარი მოდუნება იგრძნო...

— ნანა დაგვემუქრა: დროშის წამოსაღებად მე თვითონ მოვალ ხვნა-თესვის დამთავრების შემდეგო, — უთხრა მიტომ.

— რაო? — წელში გასწორდა შოთა, — როგორ თუ დაგვემუქრა...

— ჰო, ასე თქვა... მერე ზურგი შემაქცია... ძალიან მიბრაზდება, არ ვიცი რა დავუშავე იმ გოგოს!

* * *

მას შემდეგ, რაც მიტომ ნანას ტყვიავში ყოფნის ამბავი ჩამოუტანა მეგობარს, შოთამ ვეღარ მოისვენა. რამდენჯერ გადაწყვიტა, ყველას ჩუმად, თვით მიტოს ჩუმადაც კი, წასულიყო ტყვიავის ემტეესში და ნანა ენახა, მაგრამ ვერ გაბედა.

ერთხელ თავს ძალა დაატანა, ოსეთში მიმავალ საბარგო მანქანას გაჰყვა, ტყვიავში ჩამოხტა, ემტეესში მივიდა. ეზოში კაციშვილი არ ჩანდა, ახლა ის დრო იყო, როცა ტრაქტორების უმეტესობა მინდვრებში ანეულის სახნავად იყო გასული.

„სად იქნება ნანა?“ — არ ასვენებდა ფიქრი შოთას. მიტოს გარდა ქვეყანაზე არავინ იცოდა მისი სიყვარული, ამიტომ უფრო გაბედულად შევიდა ტყვიავის ემტეესში. ვერვინ აიღებდა ეჭვს, რომ ნანას სიყვარულმა მოიყვანა იგი აქ.

სარემონტო საამქროს დიდი ფანჯრები ქონდა და შიგ რა ხდებოდა ყველაფერი ჩანდა გარედან. შოთამ აქ რომ ჩაიარა, ანაზდად თვალი მოჰკრა სპეცტანსაცმელში გამოწყობილ ქალიშვილს. შოთა ერთ ადგილზე გახევდა. ნანა გვერდზე იდგა, მას არ შეეძლო შეემჩნია გარედან მოთვალთვალე ვაჟი.

არა, ნანა არა გავდა იმას „ხმაგულისას“ რომ მღეროდა ინსტიტუტის კლუბში, ახლა სხვა იერი დამჩნეოდა მის ლამაზ სახეს, ოდნავ შეკრული შუბლით, ჩაფიქრებული გამომეტყველებით ჩანდა, რომ იგი ახალ საზრუნავს განიცდიდა მთელი არსებით. გასარემონტებელ ტრაქტორთან იდგა.

ერთ-ერთ ტრაქტორისტს შეემჩნია სარემონტო საამქროსთან გაჩერებული შოთა. მან ბენზინის საწყობთან მიირბინა და იქ ხუთიოდე ტრაქტორისტს აქაქანებულმა გადასცა:

— ახალდაბელების დაზვერვა ღრმად შემოჭრილა ჩვენს ტერიტორიაზე, შეხედეთ!

ყველამ გაიხედა სარემონტო საამქროსაკენ.

— ეშინიათ დროშის დაკარგვის!

— ძლივს წაიღეს!

— დავაპატიმროთ, დირექტორს მივგვაროთ! — იხუმრეს ბიჭებმა.

ტრაქტორისტები შოთასთან მივიდნენ და გარსშემოერტყნენ. კაციშვილი არ ჩანდა და უცებ ხუთი კაცი დაადგა თავს. ხუთივეს კარგად იცნობდა შოთა.

— გამარჯობათ, ბიჭებო, — ჩვეულებრივად მიესალმა იგი და პირი იბრუნა, რომ მათ რაიმე ეჭვი არ აეღოთ ნანას რომ უმზერდა.

ტრაქტორისტებმა ხელი ჩასჭიდეს შოთას.

— რა გინდათ... თუ ჭიდაობა გინდათ, სათითაოდ, ან ორ-ორი გამოდით,

— დაზვერვაზე ხარ? გეშინიანთ? — ხითხითებდნენ ბიჭები და ხელებს ისე უჭერდნენ შოთას, თითქოს მართლა სამტროდ მოსულიყოს ახალდაბელი ტრაქტორისტი.

— დირექტორთან წამო.

კვლავ ეხუმრებოდნენ ბიჭები. მათმა მხიარულებამ შოთასაც გაუხსნა გული, ხელები დაკავებული ჰქონდა.

— აბა, მაშ ფეხზე მაგრა დადექით, — შეუძახა ტრაქტორისტებს. ერთი მაგრად გაიბრძოლა, ხუთნი აქეთ-იქით მიყარ-მოყარა, მკერდი გაშალა, თავი გამარჯვებულივით მაღლა შემართა, ისეთი სჩანდა, თითქოს მთას უნდა დაეჯახოსო და სწორედ ამ დროს გაისმა ქალიშვილის ხმა:

— რა ამბავია?

ნანა იდგა შოთას წინ.

მიწაზე დაცემული რამდენიმე ტრაქტორისტი წამოდგა და დამნაშავე ბავშვივით გაჩერდა თავის ინჟინრის წინაშე.

— დაზვერვაზეა ახალდაბიდან, — უთხრა ერთმა ტრაქტორისტმა.

— არ მესმის რას ამბობთ... წადით საქმეს მიხედეთ... მე ერთხელ ვთქვი, რომ სამუშაო საათებში თავი მიანებეთ ჭიდაობას... — ნანას წარბი შეკრული ჰქონდა.

ტრაქტორისტები უსიტყვოდ შეტრიალდნენ და წავიდნენ.

შეტრიალდა და იმ ადგილს გაშორდა შოთაც, მის გულში სამუდამოდ აღიბეჭდა ნანას უკანასკნელი შემოხედვა. რამდენადაც ქალიშვილმა სიმკაცრე და გულქვაობა გამოიჩინა თავისი ტრაქტორისტების მიმართ, იმდენად მორცხვი აღმოჩნდა უცხო ვაჟკაცის წინაშე, რომელსაც დანაშაულზე წაასწრო, მაგრამ ერთი სიტყვის თქმაც ვერ გაუბედა. ის მორცხვი იყო, სწორედ ისეთი, როგორიც მაშინ, კლუბის სცენაზე. შოთამ ისიც კი დაინახა, თუ როგორ შეუფაკლდა ლოყები ნანას და როგორ ნაზად დახარა თავი.

* * *

მთელი დღე ხნავდა შოთა.

მეორე დღეს, შუადღეს ონოფრემ თავისი ხელით მოიტანა და მის აგრეგატზე დაამაგრა გარდამავალი დროშა, მერე ტრაქტორისტს უთხრა:

— მოგილოცავ გამარჯვებას, ჯერ-ჯერობით ყველაზე წინ მიდიხარ.

თავმომწონედ, მოზეიმე იერით, მკერდგახსნილი იჯდა შოთა ტრაქტორზე. ონოფრეს რაიონული გაზეთის კორესპონდენტიც მოჰყოლოდა. ამ კაცმა ფოტოაპარატი ხან აქედან ააჩხაკუნა, ხან იქიდან.

მეორე დღეს შოთას სურათი გაზეთის პირველ გვერდზე იყო გამოჭიმული.

უყურებდა ვაჟკაცი თავის სახეს და გულში სიხარულს გრძნობდა: ახლა ნანაც უყურებს მას და აგონდება თბილისი, კლუბი, კარებთან გაჩერებული ორი ვაჟკაცი, მერე სარემონტო საამქროს წინ მომხდარი ამბავი და ვინ იცის...

რატომ შეწითლდა მაშინ, რატომ ჩაღუნა თავი?!

ვინ იცის, რა გრძნობა იმალება ქალიშვილის გულში!

ოჰ, ნეტავ კი იცოდეს ეს საიდუმლო შოთამ, ნეტავ კი იცოდეს, რომ ნანა მისი იქნება სამუდამოდ.

შოთამ გაზეთი გულდაგულ დაკეცა, ხალათის ჯიბეში შეინახა, ტრაქტორის საჭე მომართა, მანქანა დასძრა და ლაღი სიმღერა გააყოლა მთებიდან გამოჭეული ნიავს.

გატაცებით მუშაობდა, ხანდახან შორეულ მთებს გაჰყურებდა.

გაღმა-გამოღმა ქედები და მთები მეტისმეტ მზიურ შუქს გაეფერმკრთალებინა და არც თუ მტრედისფრად, არც თუ ცისფრად გამოიყურებოდნენ; უფრო კიდევ იმიტომ ჩანდნენ ისე ციურნი, რომ ამ პაპანაქებაში მდინარეებიდან და მიწიდან ასული ოშხივარი ნისლივით გამჯდარიყო ჰაერში. მთას მთობა ჰორიზონტის უსწორმასწორო მოხაზულობით ეტყობოდა, შორს ასე მკრთალად მოჩანდა მიწისა და ცის ზღვარი. უსასრულო და მშვენიერი იყო სამყარო.

გზაზე „პობედა“ მოქროდა. უცებ იგი ტრაქტორის გასწვრივ დამუხრუჭდა. შოთა მიხვდა და უცებ გულის ყველა ძაფი ლამის ჩასწყდა. შეაყენა ტრაქტორი, სწორედ იმ დროს მსუბუქი მანქანა ადგილს მოსწყდა და მინდორში ცალად დარჩენილ შოთას კვლავ გულისმომკვლელად დარჩა „პობედის“ შოფერის, ინჟინერ ნანას ტკბილი ღიმილი.

* * *

ერთ დღეს ონოფრე აღრენილი მოვიდა რაისაბჭოდან. კანტორის წინ უკვე მოგროვილიყვნენ ემტეესელები, დირექტორმა მათ ორიოდე სიტყვით ამცნო დამარცხება და მერე თავჩაქინდრული შევიდა თავის კაბინეტში.

მეორე დღეს დროშა წაიღეს. მერე ვინ! მიტინგს მიტო არ დასწრებია.

შოთა სასოებით შეჰყურებდა ნანას, შეჰყურებდა მის გამარჯვებულ სახეს.

ტყვიაველების მანქანა გზაზე გავიდა, ნანას ხელში მაგრად ეჭირა დროშის ტარი და შეგებებულ ქარზე ატლაშუნებულ დროშის კალთით ესმოდა შრომისა და გამარჯვების სიმღერა.

ამ დროს შარაზე გაღიმებული სახით იდგა შოთა.

— გიხარია, რომ შენმა სატრფომ წაიღო დროშა? — საიდანღაც გამოჩნდა მიტო და გვერდში ამოუდგა.

— მე ის მიხარია, რომ გაზაფხულზე წავალ ტყვიავში, ახლა ჩვენ წამოვიღებთ მაგ დროშას და მაშინ ნანას ვეტყვი, რომ მიყვარს, მიყვარს მთელი არსებით. ო, რა კარგია ის გაზაფხული!





მ ო ს ე თ ო ი ძ ე

გარდაიცვალა სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი, სსრ კავშირის მხატვართა კავშირის ორგკომიტეტის წევრი მოსე ივანეს-ძე თოიძე.

საბჭოთა საზოგადოებრიობამ ამ ცოტა ხნის წინათ ზეიმით აღნიშნა ღვაწლმოსილი მხატვრის იუბილე.

მოსე თოიძის სახელთან განუყრელადაა დაკავშირებული ახალი ქართული რეალისტური მხატვრობის ზრდა და განვითარება და პროფესიული სამხატვრო განათლების ორგანიზაცია ჩვენში.

მ. თოიძე 1871 წელს დაიბადა ქ. თბილისში. მისი პირველი ნამუშევრები გასული საუკუნის უკანასკნელი ათეულის წლებით თარიღდება. ამ პირველ ტილოებშივე გამოვლინდა ახალგაზრდა მხატვრის რევოლუციური განწყობილება.

სამხატვრო განათლება მ. თოიძემ მიიღო პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში. აქ მასზე დიდი გავლენა მოახდინა დიდმა რუსმა მხატვარმა ი. რეპინმა.

მ. თოიძის ხანგრძლივსა და ნაყოფიერ მუშაობას უდიდესი დაფასება და გასაქანი მიეცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

საბჭოთა ხელისუფლებამ არა მარტო ყველა პირობები შეუქმნა მხატვარს შემოქმედებითი და პედაგოგიური მუშაობისათვის, არამედ მას მისცა უდიდესი შთაგონება ახალი ნიჭიერი ტილოების შესაქმნელად.

თავისი შემოქმედების ამ პერიოდში მ. თოიძემ შექმნა ბევრი მაღალმხატვრული ნაწარმოები, რომლებიც გამსჭვალულნი არიან მგზნებარე პატრიოტიზმით და სოციალისტური მშენებლობის გმირული პათოსით.

სამამულო ომის მრისხანე დღეებში სახელოვანი მხატვრის შემოქმედება ვერაგ მტერზე გამარჯვებას უნერგავდა ფრონტისა და ზურგის მებრძოლებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მ. თოიძის დამსახურება, როგორც პედაგოგის, ჯერ მის მიერ მოწყობილ სამხატვრო სტუდიაში (1922—1929) და შემდეგ თბილისის სამხატვრო აკადემიაში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით აღიზარდა და დავაჟკაცდა ქართველ მხატვართა რამდენიმე თაობა.

დიდია ის როლი, რომელიც მოსე თოიძემ შეასრულა ქართველ მხატვართა შემოქმედებით და ორგანიზაციულ ცხოვრებაში.

მაიაკოვსკი გრძელდება...

ვახტანგ ნადარეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში,
ჩემს დალოცვილ საქართველოში,
პოეტის მოსვლა ვის გაუკვირდეს?...
და მაინც ვლოცავ ამ მთაგორებს,
მწვანით შემოსილს,
შენს გულის სათქმელს
უცებ ცეცხლი რომ წაუკიდეს.
ცამეტ გაზაფხულს
აქ იწვოდი,
აქ ოცნებობდი —
და ბოლოს ლექსის ქარიშხალად მოედე რუსეთს,
გაზაფხულივით არასოდეს არა ცვდებოდა —
შენი ნათქვამი —
საუკუნე დღესაც რომ უსმენს...
უსმენს ზანგი
და კორეელი,
უსმენს სიყრმიდან —
და ვით ბავშვები პირველ სეტყვას — დაიტაცებენ...
და ალბათ შენზე —
ვით პოეტზე,
იმდენს იტყვიან,
რამდენიც ჯერაც არა თქმულა ქვეყნად არც ერთზე.
მეც იქ ვიქნები:
სადაც ზანგი
და კორეელი,
რომ იმათსავით —
ერთმა ქართველმა —
ზე ავწიო,
ჩამოგართვა ხარბად ეგ ხელი —
მომავლისკენ რომ გაიწოდე ჩამოსართმევად!..
შენი სტრიქონით
აფეთქებდნენ ბებერ რაიხსტაგს,
შენი ლექსებით
მთავრდებოდა ფრონტზე წერილი...
და მერე:
ლექსის ამ ნახევიდან —
შენა სუნთქავდი
თამბაქოს ალს გადარჩენილი...
შენი სიცოცხლე თვითონაც კი ვერ დაამთავრე,
და შენ გრძელდები,
შენ არასდროს არ დამთავრდები...
ყველა მომავალ საუკუნის თანამედროვე —
შენი ლექსია ამის თავდები!

ჯეჯილის წვიმა

ბონდო კეშელავა

ჯეჯილის წვიმას ეძახის ხალხი
შუა მაისის შხაპუნა წვიმას,
ლორთქო ფოთლიან ხის ტოტებს დახრის,
ძირს მარგალიტის წვეთებად ცვივა.

საამო არის ხმა მისი მაშინ,
შორიდან, როცა შეტევას იწყებს,
ერთს იშხუილებს, უცებ ფრთებს გაშლის,
მის მოსვლის წუთებს რა დაგავიწყებს.

ამ გაზაფხულზე ჭექა და ქუხილს
მოჰყვა და უხვად გადმოგვესხურა,
მცირე ხნით ირგვლივ ჩამოდგა მწუხრი,
ააფრთხიალა ხეზე ბეღურა...

გადაიკარა, მზემ აწეწილი
ღრუბლები სწრაფად გამოიარა.
წვიმით დახრილი ნორჩი ჯეჯილი
მიმოარწია კრძალვით ნიავმა.

ყლორტში ალმასობს წვიმის წერტილი,
ის უხილავად მიიწევს ცისკენ.
გაცეცებული, ყურაცქვეტილი
მზისგან მოელის გათბობას ისევ.

გორის თეატრში

ალ. ბურთიკაშვილი

დიდი ხანია ისტორიას ჩაბარდა ცენტრისა და პერიფერიების თეატრების სხვადასხვა საზომით შეფასება. გემოვნებაგანვითარებულ მაყურებელს ვერ მიიზიდავ თეატრში, თუ რეპერტუარი მის მზარდ მოთხოვნას არ აკმაყოფილებს და პიესებსაც სათანადო ხორცშემსხმელები არა ჰყავს.

როცა მაყურებელი გულცივი, უტყვი მოწმე არ არის ყოველივე იმის, რაც ცენაზე ხდება და მოქმედ პირთა გამარჯვება თავის საკუთარ გამარჯვებად მიაჩნია, ეს სპექტაკლის წარმატების ნიშანია. ასეთი სცენის მოწმე ვიყავით გორის თეატრში იონა ვაკელის „რვალის“ განსახიერებისას.

პიესის დამდგმელი რეჟისორი გ. აბრამიშვილი ტიპაჟთა სწორად გააზრებით და გამართლებული მიზანსცენებით საინტერესო სპექტაკლსა ქმნის.

საინტერესოდ დადგა ამავე რეჟისორმა სტალინური პრემიის ლაურეატის, თურქმენი დრამატურგის ჰუსეინ მუხთაროვის პიესა „ოჯახის ღირსება“.

პიესა შესახრულებლად ოლი როდია. იგი მოკლებულია ყოველგვარ გარეგნულ ეფექტებს, მაგრამ ძლიერია თავისი ფსიქოლოგიური განცდით. პიესაში თუ ანსამბლი დაირღვა, მარცხი აუცილებელია. მსახიობებმა ი. ოსაძემ (ალანია), ე. ბერუაშვილმა (ხიკე), ს. კალანდარიშვილმა (მაისაამი), ა. შონიამ (ატა) როლების სიმართლით წარმოსახვით მეტად საინტერესო სახეები შექმნეს.

თეკლე («გიორგი საკაძე») — მსახიობი ქ. ბოჭორიშვილი



ირაკლი თაბაგარი («რვალი») — მსახიობი ვ. ცხვარიაშვილი

, ამავე თეატრის მეტად საყურადღებო სპექტაკლია ი. ვაკელის „გიორგი საკაძე“. თეატრის მთავარი რეჟისორის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის გრ. ლაღიძის დადგმაში იგრძნობა ეპოქის ცოდნა, მოქმედ პირთა სწორად გააზრება.

ლამაზი და გამართლებული მიზანსცენები წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებენ. კარგად ასახიერებენ როლებს მსახიობები: ს. კალანდარიშვილი (გიორგი საკაძე), გრ. ლაღიძე (ლუარსაბი), ქ. ბოჭორიშვილი (თეკლე), ა. შონია (შადიმანი), გ. აბრამიშვილი (შაჰ-აბაზი).

სპექტაკლიდან მიღებულ შთაბეჭდილებას ანელებს მეორე მოქმედებაში ხელოსნების ყარაჩოღული დიალექტით ამეტყველება.

გორის თეატრის ამ სეზონის ყველაზე საინტერესო სპექტაკლია „ოთარაანთ ქვრივი“ (დადგმა გ. ლაღიძის). თეატრს მეტად ორიგინალურად აქვს გაკეთებული აღნიშნული სპექტაკლი. არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღინიშნოს მხატვარ მირიანიშვილის ნამუშევარი. გაფორმებაში იგრძნობა დეკორაციული ხელოვნების ცოდნა და მაღალი პროფესიონალიზმი. თვალს ახარებს პირველ სურათში სოფლის პეიზაჟი, მოსაწონია ოთარაანთ ქვრივის კარ-მიდამო, ორიგინალურად არის გადაწყვეტილი არჩილის სახლის აივანი, წარმტაცია კესოს ბაღი და სხვ.

სპექტაკლში მონაწილე მსახიობები დაკისრებულ როლებს მთელი ძალითა და ოსტატობით ასრულებენ.

გორის თეატრის სპექტაკლები უნაკლო არ არის. როლის ყველა შემსრულებლები როდი დგანან მოწოდების სიმაღლეზე. თეატრის ვალია კრიტიკულად გადახედოს თავის ნამუშევარს და ენერგიულად იბრძოლოს შემჩნეულ ნაკლთა აღმოსაფხვრელად.

შესანიშნავი აპარატი

სტალინური პრემიის ლაურეატი, ქ. სუხუმის მთავარი ქირურგი მ. ახალაია ათვალიერებს სისხლის ძარღვების შემკერავ აპარატს.

რამდენიმე რთული ოპერაციის გაკეთების შემდეგ კაპიტანი მიხეილ ახალაია თავის მიწურში წავიდა დასასვენებლად. ამოიღო სალაშქრო ჩანთიდან ტყავის ყდაში ჩასმული წიგნი, სწრაფად გადაფურცლა, იპოვა საჭირო ადგილი და ჩაილაპარაკა:

— დიახ, მართალი იყო, ნამდვილად მართალი იყო მოხუცი...

— ვინ მოხუცი, მიხეილ? — შეეკითხა მას ამავე მიწურში მყოფი მედიცინის სამსახურის ლეიტენანტი ვასილი პროკოპენკო.

— აი, ყური უგდე! „...შესაძლებელი რომ გახდეს სისხლის ძარღვების გადაკვანძვის ნაცვლად მათი სწრაფად და ხაიმედოდ შეერთება, ქირურგიაში ახალი ერა დადგება“.

ასე წერდა საველე ქირურგიის მამა, დიდი რუსი ქირურგი პიროგოვი; და ორივე ექიმს უნებლიეთ მოაგონდა ახოვანი სერჟანტი ტანკისტი, რომელსაც დილით ფეხის ამპუტაცია გაუკეთეს სისხლის ძარღვების ძლიერი დაზიანების გამო.

ის, რაზედაც დიდი პიროგოვი ოცნებობდა, აღსრულდა.

მაგრამ საბჭოთა ადამიანი არასოდეს არ კმაყოფილდება მიღწეულით. აპარატი ხომ შექმნილია, მიღებულია, ხმარებაშია — თითქოს, მეტი რაღა უნდა იყოს საჭირო? მაგრამ მიხეილ ახალაია კვლავ მუშაობს თავისი საუცხოო აპარატის გამარტივებაზე.

— მიზნად დავისახე, — ამბობს მიხეილი — კიდევ უფრო გავამარტივო სისხლის ძარღვების შემკერავი აპარატი ისე, რომ ყოველ მედიცინის დას შეეძლოს მისი მოხმარება.

ახალგაზრდა მეცნიერი, რომელიც ამჟამად ქ. სუხუმის მთავარ ქირურგად მუშაობს, თავის ახალ აპარატს იყენებს ქირურგიის სხვა დარგშიც, როგორიცაა: ბრონქების, ნაწლავების შეკერვა. ამ მიმართულებით მის მიერ ჩატარებულმა მთელმა რიგმა ურთულესმა ოპერაციებმა კარგი შედეგი გამოიღო.

ამჟამად მ. ახალაია ატარებს ოპერაციებს ცხოველებზე, თავისი დიდი ხნის, ჯერ კიდევ ომამდე, მოსკოვში, პროფესორ ბ. ა. ბოგორაზის ხელმძღვანელობით დაწყებული შრომის დასაგვირგვინებლად. ამ ნაშრომის თემაა: „მოკვეთილი კიდურების ხელახლა მიკერება და გაცოცხლება“. ამ ოპერაციების გასაკეთებლად სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის სუხუმის ბიოლოგიურ სადგურში ამხ. ახალაიას გამოყოფილი აქვს სპეციალური ლაბორატორია.

ამ ძაღლს მოკვეთეს ფეხი; რამდენიმე დღის შემდეგ მას აპარატით მიაკერეს მოკვეთილი ფეხი. ამხ. მ. ახალაია ამოწმებს ფეხის მგრძნობელობას მიკერების შემდეგ.

ფოტო ს. კოროტკოვისა



ნატო ვაჩნაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოულოდნელი და გულის დამწველი იყო გამოჩენილი კინო-მსახიობის, ქართველი ხალხის საყვარელი და საამაყო ასულის ნატო ვაჩნაძის გასვლა ცხოვრებიდან. უაზრო, საბედისწერო შემთხვევამ იმსხვერპლა მისი ლამაზი სიცოცხლე. უდროოდ დაიხურა მისი წარმტაცი ცხოვრების წიგნი. მილიონობით ადამიანებს, როგორც საქართველოში, ისე საქართველოს გარეთაც, მწარე ტკივილს განაცდევინებს მისი სიკვდილის ამბავი. ყველგან, მსოფლიოს ყველა კუთხეში, სადაც კი არსებობს ეკრანი, ცნობილი იყო ნატო ვაჩნაძის სახელი. არაჩვეულებრივი იყო მისი პოპულარობა, უსაზღვრო იყო სიყვარული, რომლითაც სარგებლობდა იგი ყველა ქვეყანაში, ყველა ტომისა და მოდგმის ხალხებში. მიზეზი ამ საზღვარგარეთ პოპულარობისა იყო არა მარტო ჩვენი სახელოვანი მსახიობის გარეგნული სიტურფე. მილიონობით მაყურებელს ხიბლავდა მის მიერ ეკრანზე აღბეჭდილი ქალთა სახეების უბრალოება, შინაგანი კეთილშობილება, ზნეობრივი სიფაქიზე.

ნატო ვაჩნაძემ მთელ მსოფლიოს გააცნო ქართველი ქალის ჯადოსნური სილამაზე და მისი მდიდარი სულიერი სამყარო. ძველთაგან გადმოცემული ლეგენდა ქართველ ქალთა მომხიბლავ მშვენებაზე მან ხელსახებ სინამდვილედ აქცია თავისი ბუნებრივი მონაცემებით და წარმტაცი არტისტული ნიჭიერებით.

ნატო ვაჩნაძემ უზომო ამაგი დასდო მშობლიური ქვეყნის ხელოვნებას, საბჭოთა ხალხის კულტურას. ის იყო ერთ-ერთი ფუძემდებელი და დედა-ბოძი ქართული კინო-ხელოვნებისა. მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია განუყრელი ორგანული ნაწილია საბჭოთა ქართული ხელოვნების ისტორიისა. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მოვიდა ის ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის სათავეებთან, ოცდაათი წლის მანძილზე განუწყვეტელი შრომით, თავისი მაღალი ნიჭიერებით და მგზნებარე ტემპერამენტით დაიკავა ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო, მოწინავე ადგილი ქართულ ხელოვნებაში.

ნატო ვაჩნაძე პირველი ქართველი კინო-მსახიობი იყო, რომელმაც შექმნა ქალთა სახეების მდიდარი და მრავალფეროვანი გალერეა ქართველ მწერალთა ნაწარმოების მიხედვით. მან თავისი ელვარე ნიჭით, უბრალო და შთაგონებული თამაშით სული ჩაუდგა, ხორცშესხმულ ადამიანებად აქცია და აამეტყველა ყაზბეგისა და გიორგი წერეთლის, ნინოშვილისა და ლომოურის, ნინო ნაკაშიძისა და ლეო ქიაჩელის ნაწარმოებთა გმირი ქალები. ერთ-ერთ უკანასკნელ ფილმში მან თავისი სახელი დაუკავშირა დიდი აკაკის ცხოვრების თემას და შექმნა სახე პოეტის გამზრდელი ძიძისა, რომელიც აჯადოებს მაყურებელს თავისი თვალწარმტაცი მშვენებით, სათნოებით, არაჩვეულებრივი გონიერებით.

თავისი შემოქმედების ადრინდელ ეტაპზე ნატო ვაჩნაძემ უბადლო ოსტატობით დაგვიხატა ფეოდალური და კაპიტალისტური წყობილების პირობებში დაჩაგრული, დამცირებული, უმწეო ახალგაზრდა ქალები, რომლებიც ტრაღიკულად ამთავრებენ თავიანთ სიცოცხლეს, გარემოცულნი ადამიანთა სისასტიკითა და სიბნელით. ნატო ვაჩნაძემ მაღალ პოეტური ფერადებით ასახა ხალხის სიღრმიდან გამოსულ ახალგაზრდა ქალთა მწარე ხვედრი და გაუხარელი ცხოვრება. ვისაც ერთხელ უნახავს, მისთვის დაუვიწყარია ტანჯული ნუნუს სახე ყაზბეგის „მამის მკვლელიდან“, ისევე როგორც მოკრძალებული ესმანი გიორგი წერეთლის „პირველი ნაბიჯიდან“. ასევე წარუშლელია ხალხის ხსოვნაში ნატო ვაჩნაძის მიერ განსახიერებული დესპინე — ნინოშვილის „ჩვენი ქვეყნის რაინდიდან“ და ფატი ნინო ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავედან“.

მაგრამ ნატო ვაჩნაძე მარტო ბედისაგან ჩაგრულ ქალებს როდი გვიჩვენებდა ეკრანზე. მან არა ნაკლები სიძლიერით დაგვანახა სოციალურ უსამართლობასთან მებრძოლი, თავიანთი ადამიანური გრძნობებისა და ღირსების დამცველი ქალების — ნათელას და გიულის სახეებიც.

თავისი შემოქმედების მეორე პერიოდში ნ. ვაჩნაძემ მოგვცა მთელი რიგი სახეებისა, რომლებიც გვიჩვენებენ საბჭოთა ეპოქის ქართველ ქალთა ცხოვრებასა და ბრძოლას, მათს ფიქრსა და ოცნებას, მათ თავდადებულ შრომას ხალხის საკეთილდღეოდ. ფილმში „უკანასკნელი ჯვაროსნები“ და განსაკუთრებით „ნარინჯის ველში“ ნატო ვაჩნაძემ შესძლო წარმოსახვა საბჭოთა პირობებში აღზრდილი ქალწულების, რომლებიც თავიანთი მოქალაქეობრივი შეგნებით საკუთარ განსხვავდებიან რევოლუციამდელი ქალებისაგან. ნატო ვაჩნაძის მიერ „ნარინჯის ველში“ ასახული კომკავშირელი ნანი ნამდვილი ცხოვრებიდან არის აღებული, იგი ცოცხალი სახეა ჩვენი ბედნიერი ახალი თაობისა, რომელიც შრომობს და იბრძვის კომუნიზმისათვის.

ნატო ვაჩნაძემ დიდი ოსტატობით დაგვიხატა ქართველი ქალი სხვადასხვა ასაკსა და მდგომარეობაში: მან თანაბარი მომხიბლავობით გვიჩვენა შეყვარებული სატრფო და ერთგული მეუღლე, შვილებისათვის მზრუნველი დედა და სათნოებით აღსავსე ძიძა. მან შექმნა რომანტიულობით აღსავსე ტიპები რევოლუციამდელი ქართველი გლეხი ქალების, რომლებიც შრომობენ, იბრძვიან, განიცდიან სიყვარულს, სასოწარკვეთილებას, უზომო სევდას, ამავე დროს გამსჭვალულნი არიან რწმენით ადამიანისადმი, სიკეთისა და სინათლისადმი, უკეთესი მომავლისადმი ხალხის ცხოვრებაში. ასევე რომანტიული შარავანდედით არის გარემოსილი პოეტური სახეები კოლმეურნე გოგონებისა ნ. ვაჩნაძის შესრულებით. ისინი უაღრესად სიცოცხლის მოყვარულნი, ჯანსაღი და მიმზიდველნი არიან.

ნატო ვაჩნაძემ შექმნა მილიონობით მაყურებელთათვის საყვარელი, დაუვიწყარი, თავისი მშვენებით კლასიკური სახე ქართველი ქალისა. მისი უბადლო ეშხი, ელვარე სილამაზე, მომაჯადოებელი ღიმილი, მისი თვალების შუქმოსილი ბრწყინვა მარად წარუშლელია ხალხის გულში.

ნატო ვაჩნაძე სამაგალითო იყო, როგორც მსახიობი, როგორც ადამიანი და მოქალაქე. მისი აქტიორული გამარჯვებების ერთ-ერთ საწინდარს წარმოადგენდა საოცარი შრომისმოყვარეობა და პროფესიული კეთილსინდისიერება, რომლითაც იგი ეკიდებოდა თავისი როლების შესრულების საქმეს. როგორც ადამიანს, ნატო ვაჩნაძეს განვლილი ჰქონდა ცხოვრების მკაცრი სკოლა, როგორც მსახიობი იგი ყოველდღიურად მიმართავდა ცოცხალ სინამდვილეს. ხალხში, სოციალისტურ გარემოში სწავლობდა იგი ცხოვრების სიბრძნეს, ამ სინამდვილეში პოულობდა იგი წყაროს თავისი ნათელი და მაღალი შემოქმედებისათვის.

თავისი ცხოვრების უკანასკნელ წლებში მან დასწერა საინტერესო წიგნი, სადაც აღწერა თავისი ცხოვრების ამბავი და შეხვედრები ჩვენი ეპოქის გამოჩენილ მოღვაწეებთან. ეს მოგონებები წარმოადგენენ ნიჭიერი, ჭკვიანი, ცხოვრებაში ჩაკვირვებული შემოქმედის აღსარებას, მისი გრძნობების, განცდებისა და ფიქრების გადმოშლას, მისი სხივმოსილი აქტიორული ცხოვრების ისტორიას. გულწრფელობა, თავმდაბლობა, დიდი პასუხისმგებლობა საყვარელი ხელოვნების, სამშობლოს და ხალხის წინაშე გამოსჭვივის ამ წიგნიდან.

სამშობლომ ღირსეულად დააფასა თავისი საყვარელი მსახიობის ღვაწლი. პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ, მთელმა ხალხმა დიდი ზეიმით აღნიშნეს ნატო ვაჩნაძის აქტიორული და საზოგადოებრივი მუშაობის ოცდახუთი წლის იუბილე. მაგრამ შესანიშნავი შემოქმედი ქალი არ შეჩერებულა უკვე მიღწეულზე. იგი კვლავ განაგრძობდა მუშაობას, იგი ოცნებობდა ახალი სახეების შექმნაზე. ჩვენი დიდი ეპოქის გმირთა სულიერი ცხოვრების მხატვრულ წარმოქმნაზე.

დიდ შემოქმედებით მუშაობასთან ერთად ნატო ვაჩნაძე ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

როგორც ადამიანი, იგი დაჯილდოებული იყო მტკიცე ნებისყოფით, ვაჟკაცური გამბედაობით, არაჩვეულებრივი მიზანსწრაფვით, საზოგადოებრივი ალღოთი, დიდი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობით. განუზომელი იყო მისი სიყვარული მშობლიური ქვეყნისა და ხალხისადმი, სამშობლომ იგი შეიყვარა ორმაგი სიყვარულით.

პოეტური რომანტიულობით იყო აღსავსე მისი მდიდარი და მღელვარე ცხოვრება; ზღაპარივით დასრულდა მისი სიცოცხლეც: იგი ოცნებასავით დაიფერფლა.

ნატო ვაჩნაძის ტურფა სახეს ვეღარ შეეხო სიბერის მსახვრელი ხელი, — იგი დარჩა ხალხის ხსოვნაში მარად უჭკნობი სილამაზით გაბრწყინვებული, გულწარმტაცი და მომხიბლავი.

ლევან ასათიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



კადრები ფილმებიდან რესპუბლიკის სახალხო არტისტის ნატო კაჩნაძის მონაწილეობით (ზემოდან ქვემოთ):

,,მაძის მკვლელი'' (პირველი ორი კადრი, — მეორე კადრში ნ. ვაჩნაძე და ჯ. სარაჯიშვილი); სამი სიცოცხლე'' (ნ. ვაჩნაძე და შ. გელოვანი); ,,ვინ არის დამნაშავე?''; ,,ნათელა''; ,,უკანასკნელი ჯვაროსნები''; ,,ნარინჯის ველი'', ,,საშობლო'' (ნ. ვაჩნაძე და კ. დაუშვილი); ,,ქაჯანა''; ,,აკაკის აკვანი''; ,,მწვერვალების ღაძვრობნი''.

შუაში — კადრი ფილმიდან ,,არსენა''.

ახალგაზრდა ესპანელები ლუის ფერნანდესი და დარიო სუარესი თბილისის სატრიკოტაჟო კომბინატის კულტურის სახლში ასრულებენ ესპანურ ხალხურ სიმღერას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო ვ. ჯეირანოვისა

მეორე სამშობლო

რევაზ ჩხეიძე

საკავშირო კინემატოგრაფიის ინსტიტუტის დიდი დარბაზი ხალხითაა სავსე. დღეს დიპლომების დაცვის დღეა. დიპლომებს იცავენ სარეჟისორო ფაკულტეტის კურსდამთავრებულები. თოვლივით თეთრი ეკრანის წინ, წითელმაუდგადაფარებულ მაგიდას სახელმწიფო საგამოცდო კომისია შემოსხდომია. აქ არიან საბჭოთა კინოხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები: მიხ. ჭიაურელი, გრ. ალექსანდროვი, ალ. დოვჟენკო, ლ. კულეშოვი... მარცხნივ გვერდით კათედრაზე შავთმიანი ყმაწვილი, სტუდენტი დიპლომანტი დგას. იგი მღელვარედ მოუთხრობს აუდიტორიას თავისი მუშაობის შესახებ. მკერდზე კომკავშირის ნიშანთან ერთად სამფერი-ვანი პატარა ალამი უბნევია. სამი ფერი — სამი ზოლი: ყვითელი, იისფერი, წითელი... ეს გმირული ესპანეთის რესპუბლიკური დროშის სიმბოლოა. ხოლო ახალგაზრდა, რომელიც მას ატარებს, იმ ესპანელ ბავშვთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებმაც ფრანკოს ფაშისტური ტერორის გამო, დასტოვეს თავისი სამშობლო და თავშესაფარი ჰპოვეს ჩვენს დიდ საბჭოთა ქვეყანაში. ეს იყო 15 წლის წინათ. საბჭოთა ადამიანებს ახსოვთ ის დღეები, ახსოვთ საბჭოთა ხომალდები, რომლებმაც ესპანელი ბავშვები ჩვენს ნაპირებს მოაყენა, ახსოვთ, თუ როგორ მოაბიჯებდნენ ეს პატარა წითელბანტიანი გოგონები და შავგვრემანი ბიჭუნები მოსკოვისა და ლენინგრადის ქუჩებში და თავისი წკრიალა ბავშვური ხმით მღეროდნენ ინტერნაციონალური ლეგიონის იტალიური ბრიგადის სიმღერას — „ბანდერა როსას“.

და ახლა, როდესაც ჩვენ წინ, კათედრაზე მტკიცე იერით მდგარ ესპანელ ყმაწვილს ვუყურებთ, ყმაწვილს, რომელიც დღეს იღებს სპეციალისტის საგზურს სიცოცხლით სავსე დიდ ცხოვრებაში, გული სიამაყით და სიხარულით გევსება ადამიანს. არანაკლებ სასიამოვნო და მღელვარეა ალბათ ეს წუთები თვით კარლოს ლიანოსისთვის, ასეთია გვარი და სახელი ამ ახალგაზრდა სტუდენტ-დიპლომანტისა, რომელიც დღეიდან ემატება კინემატოგრაფიის მუშაკთა რიგებს.

ეს-ეს არის, კინემატოგრაფიის ინსტიტუტის საგამოცდო დარბაზში თავმოყრილებმა ნახეს კარლოსის სადიპლომო კინონარკვევი — „მეორე სამშობლო“. როგორც სტალინური პრემიის ლაურეატმა რეჟისორმა კარმენმა აღნიშნა, ეს ნამუშევარი ერთგვარად ავტობიოგრაფიულ ხასიათს ატარებს. იგი მაყურებელს მოუთხრობს ესპანეთის სამოქალაქო ომის მრისხანე წლებზე, ფაშისტ კაციჭამიების მხეცობაზე; მოუთხრობს იმაზე, თუ როგორი მზრუნველობით და დედობრივი სითბოთი შეეგებნენ პატარა ესპანელებს საბჭოთა ადამიანები, როგორ გამზარდა და ცხოვრების სწორ, ნათელ გზაზე დააყენა ეს ბავშვები ჩვენმა დიდმა სოციალისტურმა სახელმწიფომ.

ძნელია უყურო ამ კინონარკვევს აუღელვებლად. კარლოსი დიდ სიმართლეზე მოუთხრობს მაყურებელს ეკრანიდან და სწორედ ამიტომ დაჯილდოვა ტაშით აუდიტორიამ ახალგაზრდა ხელოვანი.

პირველთანრიგოსანი აკრობატები (ზემოდან ქვემოთ): ლუის ფერნანდესი, მენანდოს მანუელი, დარიო სუარესი და მეანა ხოაკინ.

კაოლოს ლიანოსის ბედი ერთ ბედნიერ გამონაკლისს როდი წარმოადგენს. ასეთივე ხვედრი ერგო ბევრ ესპანელ ახალგაზრდას ჩვენს ქვეყანაში. თვით კაოლოსის ძმა — ვირხილიო ლიანოსი, რომელმაც მოსკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტი დაამთავრა, ამჟამად წარმატებით მუშაობს კუიბიშევის ჰესის მშენებლობაზე. აქვე მუშაობს მისი მეუღლე, რუსი ქალი გალია. ვირხილიომ გალიასთან ერთად დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი და პირადი თხოვნით, ორივემ ერთად კუიბიშევის ჰესის მშენებლობაზე გასწია. ვირხილიო და გალია ხელმძღვანელობენ კუიბიშევის ჰესის მშენებლობის ერთ-ერთ უბანს და მუშათა და ტექნიკოსთა საყოველთაო სიყვარულით სარგებლობენ.

რომ მოგასმენიათ, როგორ მღერიან მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები დები ელენა და პილარ გარსია, როგორ მღერიან ახალგაზრდა მხატვრები რობერტო მარკანო და ფელიქს ბაკერისა, თქვენ იტყოდით: „ასე მღერა შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც მკერდით მშობლიურ ჰაერს სუნთქავენო!“ ისინი მღერიან და ამ სიმღერაში უეჭველად იგრძნობთ ერთგვარ დარდს დატოვებულ სამშობლოზე, იგრძნობთ განუსაზღვრელ სიყვარულს სიერა ნევადასა და კატალონიის მთებზე, ლურჯ, უღრუბლო ესპანეთის ცაზე, იგრძნობთ ვატკაცურ, უცრემლო გლოვას ფაშიზმთან ბრძოლაში დაღუპულ მებრძოლებზე... მაგრამ ეს ის განწყობილებაა, რომელიც ადამიანს მხოლოდ წუთით მოიცავს. აგერ ესპანელი ყმაწვილები სჭექენ მგზნებარე, სიცოცხლით სავსე „რკინის კოლონებს“, მხიარულ „კაფეს“, ლირიულ „ჰალომას“ („მტრედი“).

— ჩვენ, ესპანელებს განსაკუთრებით გვიყვარს და ახლოს ვგრძნობთ ქართულ სიმღერებს, ქართულ მოძრაობათა რიტმს — ამბობენ ესპანელი ახალგაზრდები.

— ჩვენ ძლიერ გვიყვარს თბილისის „დინამოს“ ტემპერამენტიანი გუნდის თამაშის ყურება — ურთავს საუბარში არნალდო იბანესი, რომელიც საერთოდ ძლიერ გატაცებულია სპორტით. — ამჟამად — განაგრძობს არნალდო — ფეხბურთის მოყვარული ესპანელები ორ ბანაკად არიან გაყოფილნი. პირველი ბანაკი მხარს უჭერს თბილისის „დინამოს“, მეორე კი მოსკოვის „ტორპედოს“. ეს გასაგებიცაა — „ტორპედოს“ გუნდის კაპიტანი და მისი საიმედო მცველია ჩვენი თანამემამულე ავგუსტინ გომესი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის სატრიკოტაჟო კომბინატის სტახანოველი მუშა — ესპანელი დარიო სუარესი ნაყოფიერი შრომის შემდეგ ბედნიერად ისვენებს თავის ოჯახში. დარიოს ქართველი ქალი — ევგენია ინაშვილი ჰყავს ცოლად. მათი ოჯახის სიხარულია პატარა ტერეზა.

ფოტოზე: დარიოს ესპანელი მეგობარი ეთამაშება პატარა ტერეზას.

საბჭოთა ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლის — გომესის სახელი, ფართოდ არის ცნობილი მთელს ქვეყანაში. გომესიც ხომ ისევე ეწვია ჩვენს ქვეყანას, როგორც კარლოსი, როგორც ფელიქსი, როგორც არნალდო... ახლა გომესი ინჟინერია, იგი მუშაობს სტალინის სახელობის ავტოქარხანაში და თან თავის სპორტულ ნიჭს ბრწყინვალედ ავლენს ჩვენი ქვეყნის საფეხბურთო მოედნებზე.

უბადო ნიჭს, მაგრამ სრულიად სხვა სფეროში ავლენს ახალგაზრდა მხატვარი მულტიპლიკატორი რობერტო მარკანო. ის სულ ათი წლისა იქნებოდა, როდესაც სამშობლო დასტოვა. მან დაამთავრა მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტის სამხატვრო ფაკულტეტი და ახლა თბილისის ლენინის ორდენოსან კინოსტუდიაში მუშაობს მხატვარ-მულტიპლიკატორად. რობერტო ხანდახან ესპანეთიდან იღებს დედის წერილებს.

რობერტოს ახსოვს და უყვარს თავისი დედა. თბილისში მისი საწოლის თავზე თქვენ ნახავთ ზეთის საღებავებით შესრულებულ ქალის პორტრეტს. ეს რობერტოს დაუხატავს თავისი დედა, ისე, როგორაც იგი მისმა ბავშვურმა მეხსიერებამ დღემდე შემოინახა...

ესპანელმა ახალგაზრდობამ მთელი სულითა და გულით შეიყვარა ჩვენი საბჭოთა სამშობლო. დიდ სამამულო ომის მრისხანე დღეებში ბევრმა მათგანმა საქმით დაამტკიცა ეს უმწიკვლო სიყვარული. სტალინგრადისათვის სასტიკ ბრძოლებში გმირული სიკვდილით დაეცა დოლორეს იბარურის ვაჟი. მარად ცოცხალი ყვავილები ამკობს ამ ესპანელი ვაჟკაცის საფლავს.

ესპანელი ახალგაზრდების საინტერესო ცხოვრება ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეებში—მოსკოვში თუ ლენინგრადში, კიევში თუ თბილისში, მოწმობს, რომ მათ საბჭოეთის მზის ქვეშ ჰპოვეს ბედნიერი და სიცოცხლით სავსე ცხოვრება. აგერ პატარა გოგონა კარმენი, იგი მოსკოვში დაიბადა, ახლა უკვე ოთხი წლისაა. მამამისი ფელიქს ბაკერისა თერთმეტი წლის იყო, როდესაც საბჭოთა ქვეყანაში ჩამოიყვანეს. ხოლო დედა ათი წლისა. მამა ახლა მხატვარი დეკორატორია, დედა აგრონომი. მათ აქ, ჩვენს ქვეყანაში გაიცნეს ერთმანეთი. მათმა ოთხი წლის გოგონამ კარმენმა არ იცის, თუ რას ნიშნავს ფრანკოს სისხლიანი რეჟიმი, არ იცნობს ფრანკოს სამოქალაქო გვარდიელთა მხეცურ სახეებს, მაგრამ როდესაც პატარა კარმენჩას (ასე ეძახიან კარმენს მოფერებით ესპანელები) ეკითხებიან, თუ ვინ არის ყველაზე საძაგელი, ყველაზე ცუდი კაცი ქვეყანაზე, იგი პასუხობს: ფრანკო!

კარმენჩა ოდესმე ჩაიტანს სიმღერებს თავის მშობლიურ განთავისუფლებულ ბასკონიაში და შეასწავლის თავის თანამემამულეებს ჩვენი საბჭოთა ხალხის სიმღერებსაც. შეასწავლის: „კატიუშას“, „სულიკოს“ და კიდევ სხვა სიმღერებს; კარმენჩა მათ მიუტანს ქართულ ცეკვას, რომელსაც იგი ახლა ბავშვური სინაზითა და მშვენიერებით ცეკვავს, კარმენჩა მათ მიუტანს ხალხთა დიდი ძმობის პოეზიას! ყოველივე ეს მან აქ საბჭოთა ქვეყანაში ისწავლა.

ვის არ მოუსმენია თბილისის რადიოგადაცემებში ორი ჭაბუკისათვის, რომლებიც, ერთად შეხმატკბილებულნი, მშვენიერი ხმით მღერიან ესპანურ მელოდიებს. ესენი არიან ლუის ფერნანდესი და დარიო სუარესი. ლუისი და დარიო ასტურიის მემაღაროელთა შვილებია. ლუისს დღესაც ახსოვს მემაღაროელთა ტრადიციის თანახმად სამუშაოზე მიმავალი მამა ყოველ დილით კოცნით რომ ეთხოვებოდა დედას. ერთ დილას, როდესაც ყურს უსიამოვნო გუგუნი აყრუებდა, დედა ისევ გადაეხვია მამას გამოსათხოვებლად. ამ დილას მამას მკაცრი და მტკიცე სახე ჰქონდა, დედის თვალებში კი ცრემლი კრთოდა. ამის შემდეგ ლუისს მამა აღარ უნახავს...

1937 წელს ლუისი და დარიო, როგორც სხვა მათი პატარა თანამემამულეები საბჭოთა მთავრობის მზრუნველობის შედეგად გადარჩნენ ფაშისტური ავიაციის ბარბაროსულ თავდასხმებს. აქ, საქართველოს მიწაწყალზე ჰპოვეს ლუის ფერნანდესმა და დარიო სუარესმა მეორე სამშობლო. საქართველოც ხომ ისევეა დასერილი მთებით, როგორც მათი სამშობლო ესპანეთი, საქართველოშიც ხომ ისეთივე ხმაურით მოგუგუნებენ მთის მდინარეები, როგორც ესპანეთში. საქართველოშიც მშობლიური ალერსით და ყურადღებით უღიმიან მათ ჩვენი საბჭოთა ადამიანები!

ახლა ლუისი და დარიო თბილისის სატრიკოტაჟო კომბინატში მუშაობენ, ბევრითად სწავლობენ და ყოველდღიურად იმაღლებენ თავიანთ ცოდნას. ლუისი ამასთანავე იჩენს უბადლო მხატვრულ ნიჭს. მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, რომ თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი გახდეს. ეს ასეც იქნება! ჩვენს ქვეყანაში ოცნება და სინამდვილე ერთიმეორისაგან განუყრელია ესპანელი ახალგაზრდებისთვისაც. ესპანელი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს იმას, რომ მათმა შვილებმა გაჭირვების ჟამს მშობლიური კერა და თავისი მეორე სამშობლო აქ, საბჭოთა ქვეყანაში ჰპოვეს.

თბილისის სატრიკოტაჟო კომბინატში მომუშავე სტახანოველი დარიო სუარესი სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს გეგმას.

თბილისში დაბადებული და აღზრდილი ესპანელი ბავშვები ათვალიერებენ საინტერესო წიგნს.



მოსკოვში ჩატარდა ევროპის VIII ჩემპიონატი კალათბურთში ვაჟთა გუნდებისათვის. უძლიერესთა შეხვედრაში საბჭოთა სპორტსმენებმა ცხადყვეს საუკეთესო ფიზიკური და ტექნიკური მომზადება. ჩვენი ქვეყნის კალათბურთელთა ნაკრებმა გუნდმა წინასწარ და ფინალურ შეხვედრებში ყველა თამაში მოიგო და პირველი ადგილი დაიკავა. მას ხაზეიმოდ გადაეცა ოქროს მედალი.

იუკრეის დიდი მედალი

მ. კაკაბაძე, ბ. ძოწენია

თვითმფრინავის გაფრენამდე წუთებიღა იყო დარჩენილი. აეროპორტის ვრცელ დარბაზში ჩვეულებრივი ფუსფუსი სუფევდა — მზიდავები გასასვლელისაკენ მძიმე ჩემოდნებს მიარბენინებდნენ, მათ აჩქარებული ნაბიჯებით ფეხდაფეხ მისდევდნენ მგზავრები. ერთი ჯგუფი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა საჰაერო მარშრუტების უზარმაზარ რუკას; მეორენი — ბუფეტთან მიმდგარიყვნენ და სახელდახელოდ შეექცეოდნენ საუზმეს, თან გულის გასამხნევებლად მალი-მალ გადაჰკრავდნენ ხოლმე არაყს...

— ვენაში მიმავალი თვითმფრინავის მგზავრებო, მოემზადეთ! — მკაფიოდ გაისმა რეპროდუქტორში.

და აი, დარბაზის ერთ კუთხეში წამოიშალნენ ატლეტური მოყვანილობის ბრგე ვაჟკაცები, ბუმბულივით აიტაცეს თავიანთი ჩემოდნები და დინჯი ნაბიჯით გასასვლელისაკენ გაემართნენ. გამცილებელთა დიდი ჯგუფი უკან გამოჰყვა მათ.

— მოჭიდავეები, ჩვენი მოჭიდავეები!

უმალ გაიფანტა რუკის წინ მდგარი ჯგუფი, ბუფეტიც წამსვე დაცარიელდა, გრძელი სკამებიდანაც წამოიშალნენ და სპორტსმენებს გარს შემოეხვივნენ. გაისმოდა კეთილი სურვილები, მისალმებანი, აღტაცებული შეძახილები.

თვითმფრინავი მიწას მოსწყდა. თვითმფრინავის ქვეშ ცხვრის ფარასავით გაშლილმა თეთრმა ღრუბელმა შორს წარიტაცა ქართველი ფალავნის გივი კარტოზიას ფიქრები.

— რა იყო, გივი, რას ჩაფიქრებულხარ? — შეეხმიანა კარტოზიას კოლია ბელოვი, მისი მუდმივი სპორტული მეტოქე.

გივიმ მეგობრულად გაუღიმა მას.

რბილ სავარძელში გოლიათი იოჰანეს კოტკასი ჭადრაკს ეთამაშებოდა არტემ ტერიანს. არტემი გულიანად იცინოდა, როცა მისი ესტონელი მეგობარი ვეება თითებით ჯიბის ჭადრაკის მინიატურულ ფიგურებს ხვრელში გაჭირვებითა და ჯახირით ათავსებდა. დინჯი ბორის გურევიჩი აუჩქარებლად ფურცლავდა ჟურნალის ახალ ნომერს, ხოლო გუნდის მწვრთნელები — ვახტანგ კუხიანიძე და ალექსანდრე სენატოროვი შეუჩერებლად ბჭობდნენ და უბის წიგნაკებში ინიშნავდნენ წამდაუწუმ რაღაცას.

... ვენაში მატარებელში გადასხდნენ საბჭოთა მოჭიდავეები — ნეაპოლისაკენ ჰქონდათ გზა, იქ, სადაც მსოფლიოს უძლიერესთა ასპარეზობა იყო დანიშნული.

ის-ის იყო ირიჟრაჟა, იტალიის საზღვარი რომ გადასერეს. მატარებელი რომელიღაც პატარა სადგურზე გაჩერდა.

— უდინო! — ხმამაღლა დაიძახა გამყოლმა. სპორტსმენები ფანჯრებს მიადგნენ: ბაქანზე თითქმის არავინ იყო — მხოლოდ რამდენიმე პოლიციელი სცემდა ბოლთას მედიდურად. ვინ იცის, საიდან გაიგეს სადგურის მუშებმა, მზეთავებმა და მეისრეებმა, რომ მატარებელში საბჭოთა ადამიანები იყვნენ. ისინი პოლიციელებისაგან მალულად ესალმებოდნენ ჩვენებს, ხელს უქნევდნენ და, როცა მატარებელი დაიძრა, საბჭოთა მოჭიდავეები გააცილა მათმა ძახილმა „ფორტო რუსია!“ („წინ რუსეთო!“). „ავგურა!“ (ეს კეთილი სურვილია).

ასე იყო ყველგან, მთელ გზაზე, თვით ნეაპოლშიაც: უბრალო ადამიანების ღიმილი, მათი მეგობრულად გამოწვდილი ხელები, გამარჯვების სურვილები.

ვეება სპორტული დარბაზი „გიმნაზიუმ-პალესტრა“ ისე იყო გაჭედილი მაყურებლებით — ნემსიც არ ჩავარდებოდა, ორ ხალიჩას მრავალი ათასი წყვილი თვალი მისჩერებოდა და განა მარტო მისჩერებოდა? ტემპერამენტიანი იტალიელები მოურიდებლად ხმაურობდნენ, სტვენდნენ, ხმამაღლა კამათობდნენ.

ფოტოზე: მსოფლიოს ჩემპიონი გ. კარტოზია შვილთან ერთად თბილისის რკინიგზის სადგურის ბაქანზე.

ფოტოზე — მარცხნივ: ევროპის ჩემპიონი კალათბურთში, საბჭოთა კავშირის ვაჟთა ნაკრები გუნდი მოსკოვის „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე.

ქვემოთ: — თამაშის მომენტი. საბჭოთა კავშირის კალათბურთელთა ვაჟთა ნაკრები გუნდის ერთ-ერთ უძლიერეს მოთამაშეს, გუნდის კაპიტანს ოთარ ქორქიას ორი ჩეხი მოთამაშე დარაჯობს ერთდროულად.





ეროვნული ბიბლიოთეკა

მამის კვალზე

ზუგდიდის იპოდრომზე ხშირად ნახავთ თეთრ ჩოხებში გამოწყობილ ორ ახალგაზრდას, ისინი ცხენოსანთა მომავალი შეჯიბრებისათვის ემზადებიან.

აი მათ შეჰკივლეს ცხენებს და ელვის სიხწრაფით მოსწყდა ადგილს ორი ტაიჭი. ძმები ერთმანეთს ეჯიბრებიან, თავდავიწყებით მიაქანებენ ცხენებს. ხანდახან გეშინია, არ გადმოვარდნენ; მაგრამ ისინი ხომ ბავშვობიდანვე არიან შეჩვეული ცხენოსნობას. ეს ახალგაზრდა ცხენოსნები ნოდარ და ოთარ ხაინდრავები არიან.

მათ არა ერთხელ მიუღიათ მონაწილეობა როგორც რაიონულ, ისე რესპუბლიკურ შეჯიბრებებში. შარშან ნოდარმა გაუსწრო გამოცდილ ცხენოსნებს და მრავალკილომეტრიან დოლში პირველი ადგილი დაიკავა.

არც ოთარი ჩამორჩება ძმას. ცხენოსნობა ბავშვებს მამამ შეაყვარა — ალექსანდრე ხაინდრავამ. თავის დროზე ალექსანდრე ხახელგანთქმული ცხენოსანი იყო. მას კარგად იცნობდნენ ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც, იგი ხშირად მონაწილეობდა მოსკოვის, ბაქოს, როსტოვისა და პიატიგორსკის იპოდრომზე გამართულ ცხენოსანთა შეჯიბრებაში და უმრავლეს შემთხვევაში გამარჯვებული გამოდიოდა. ასეული ჯილდო ჰქონდა ალექსანდრეს მიღებული. სამამულო ომში მიღებული ჭრილობის შემდეგ იგი, როგორც ჟოკეი, მწყობრიდან გამოვიდა, მაგრამ თავის საყვარელ სპორტს მაინც არ დაშორდა და კოლმეურნე ახალგაზრდობის სპორტულ წვრთნას შეუდგა.

ერთ დღეს გამოჩენილ მხედარს ცხენი გაექცა, ცალი ხელით ცხენის შეჩერება ვერ შესძლო და დაიღუპა.

შვილებს ახსოვთ მამის მხედრობა, მისი ოსტატობა საცხენოსნო სპორტში. ისინი ოცნებობენ იყვნენ მამის ღირსეული მემკვიდრეები, გახდნენ მამასავით ხახელოვანი ცხენოსნები.

ფოტოზე ზემოთ: ძმები ხაინდრავები ვარჯიშობაზე.
ქვემოთ: ძმები ნოდარი (მარცხნივ) და ოთარი ხაინდრავები.

იტალიური ბურჟუაზიული პრესა ძალიან ძუნწად აფასებდა საბჭოთა მოჭიდავეების შესაძლებლობებს, სკეპტიკურად იყო განწყობილი; პირველობას შვედებსა და თურქებს, ან იტალიელებს უწინასწარმეტყველებდა. მაგრამ ხალიჩაზე გამართულმა ასპარეზობამ გააქარწყლა მათი პროგნოზები.

... გივი ხალიჩის კუთხეში იდგა და წყნარად ელოდა თავის პირველ მოწინააღმდეგეს — უნგრელ ნემეტს. კარტოზია კარგად იცნობდა თავის ძლიერ და საშიშ მეტოქეს: ორი წლის წინ უნგრეთში, ქალაქ ტატაბანიაში შეხვდა მას და აჯობა კიდეც.

შერკინება მძაფრი და საინტერესო გამოდგა. ამჯერადაც აჯობა გივიმ მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანს და პირველი გამარჯვება ჩაიწერა.

მეორე შეხვედრა გივის საარელ მოჭიდავე მასსთან ჰქონდა. როგორც კი შეებნენ ერთმანეთს, ქართველმა ფალავანმა მძლავრად აიტაცა ნეტოქე და ჰაერში ფეხებით რკალი შემოახაზინა. საარელმა ხალიჩიდან გაქცევით უშველა თავს. მეორედაც შეეცადა ამ „ფანდის“ გამოყენებას, მაგრამ არ დასცალდა — კარტოზიამ ხალიჩაზე დაბეჭდა მისი ბეჭები.

კურიოზული გამოდგა კარტოზიას შეხვედრა თურქ ისმეტთან. მსაჯებს უკვე კარგა ხანია ჰქონდათ აღნიშნული ისმეტის სუფთა დამარცხება, მაგრამ თურქი მოჭიდავე არ ეშვებოდა გივის, — ყვინჩილასავით ეძიძგილავებოდა გამარჯვებულს. რის ვაი-ვაგლახით მოაცილეს კარტოზიას აბეზარი მეტოქე.

ვაჟკაცური, თამამი, თავაზიანი და ლაზათიანი ჭიდაობისათვის ყველამ შეიყვარა გივი კარტოზია. გამოჩნდებოდა თუ არა მოხდენილი ქართველი ხალიჩასთან, „გიმნაზიუმ-პალესტრა“ ტაშისა და შეძახილებისაგან ჰქუხდა.

...შვიდ წუთში ბეჭებზე გაშხლართა რუმინელი ონიუ და აი, უკანასკნელად დარჩა სახელგანთქმული შვედი მოჭიდავე გრიონბერგი. ამ შეხვედრას ყველა მოუთმენლად ელოდა. ეს იყო გადამწყვეტი ასპარეზობა. ხალიჩაზე გამოვიდნენ— საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, 24 წლის ჭაბუკი გივი კარტოზია და ორგზის მსოფლიო ჩემპიონი, ის, ვისაც 1947 წლის შემდეგ არც ერთი დამარცხება არ განუცდია — **გრიონბერგი.**

ეს იყო ღირსეულთა ორთაბრძოლა, 1953 წლის კლასიკურ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო წყვილი. პირველი 6 წუთი უშედეგოდ დამთავრდა. წილი ჰყარეს და, ჩოქბჯენში პირველად შვედი დადგა. საბჭოთა მოჭიდავის ყოველ ფანდს გრიონბერგი მოხერხებულად აბათილებდა, მაგრამ იძალა კარტოზიამ, ფოლადის მარწუხებივით შემოაჭდო მკლავები მეტოქეს, ძალუმად გადაზნიქა და „ხიდზე“ გადაიყვანა. მსაჯებმა ბარათებში წამსვე დადებითი ქულები ჩაუწერეს კარტოზიას.

აგებდა შვედი. აგებდა და გაგულისებული ღონივრად აწვებოდა კარტოზიას. არც გივი აკლებდა, და ხალიჩაზე გამართული იყო თავგამეტებული ჭიდილი. **გათავდა დრო. არბიტრმა კარტოზიას მძლე მარჯვენა აღმართა.**

...შეჯიბრების დამთავრების შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონს გ. კარტოზიას საზეიმო ვითარებაში გადაეცა ოქროს დიდი მედალი.

ანტარქტიკა

1642 წელს გამოირკვა, რომ ავსტრალია არ ვრცელდება სამხრეთ პოლარულ წრემდე. წამოიჭრა კითხვა: არსებობს თუ არა ხმელეთი ავსტრალიის კონტინენტის სამხრეთით? ინტერესი დიდი იყო, მაგრამ მისი დაკმაყოფილება არ იძლეოდა არავითარ ეკონომიურ სარგებლობას, რის გამოც სამხრეთ პოლარულ ზღვებზე დიდი ხნის განმავლობაში არავინ გამოჩენილა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ვეშაპებზე მონადირეებს. 1772 წელს ინგლისელმა კუკმა, პირველმა გადალახა სამხრეთი პოლარული წრე, მაგრამ ანტარქტიკის არსებობის შესახებ მხოლოდ რუსებს ხვდათ წილად ეთქვათ პირველი სიტყვა 1821 წელს.

სამხრეთ პოლარული ზღვების შესასწავლად 1819—1821 წ. წ. მოწყობილ ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ცნობილი რუსი მოგზაური თ. თ. ბელინგსჰაუზენი ლაზარევთან ერთად. ექსპედიციამ და მისმა ხელმძღვანელებმა ფასდაუდებელი ღვაწლი გასწიეს კაცობრიობის წინაშე — აღმოაჩინეს მეექვსე, უკანასკნელი კონტინენტი — ანტარქტიკა.

ანტარქტიკის პერიფერიებზე ეს ექსპედიცია მანამდე უცნობ მრავალ ზღვასა და კუნძულს წააწყდა. მათ შორის აღსანიშნავია ბელინგსჰაუზენის ზღვა, პეტრე პირველის კუნძული, ანენკოვის, ბოროდინოს და სხვა კუნძულები.

ბელინგსჰაუზენის ექსპედიციის შემდეგ ზედიზედ აწყობენ ექსპედიციებს ბურჟუაზიული ქვეყნები. სხვისი მიწების მითვისების ოსტატობით ცნობილმა სახელმწიფომ, ინგლისმა პირველმა გამოაცხადა როსსის ზღვის სანაპირო ბრიტანეთის სამფლობელოდ, ხოლო 1939 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოაწყო სპეციალური ექსპედიცია ანტარქტიკაზე თავისი უფლებების გასამტკიცებლად.

ანტარქტიკა სამხრეთი პოლუსის მიდამოებში მდებარეობს. ის მარადიული ყინულის დიდი სისქით დაფარული კონტინენტია, რომლის ფართობი 14 მილიონ კვადრატულ კილომეტრს აღემატება. მისი ტერიტორია მაღლა აზიდული მთაგორიანი რელიეფით ხასიათდება. ანტარქტიკა სიცივის, მყუდროების, ყინულეთისა და უსიცოცხლოების წარმოდგენასთანაა დაკავშირებული, მაგრამ მისი მისაკუთრების რეალური ინტერესი მეტად დიდია. ა. შ. შ-ს ერთ-ერთი ჟურნალი არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ ანტარქტიკა შეიძლება წარმოგვიდგეს ძვირფას საუნჯეთა გიგანტურ სალაროდ.

გამდიდრების მანიით შეპყრობილ ამერიკელთა ფანტაზიას საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ ანტარქტიკის ყინულის საფარქვეშ მართლაც ნაპოვნია ოქრო, ვერცხლი, ტყვია, რკინა და ქვანახშირი; შესაძლებელია ურანის საბადოებიც. გარდა ამისა, ანტარქტიკის განაპირა ზღვები მდიდარია ზღვის ცხოველებით. ანტარქტიკაზე გადავლით მნიშვნელოვნად მცირდება საჰაერო გზა სამხრეთ ნახევარსფეროს კონტინენტებს შორის. ანტარქტიკის ჰავაზე დაკვირვება დიდად შეუწყობს ხელს დედამიწის კლიმატურ თავისებურებათა შესწავლას. ანტარქტიკის ესოდენ დიდი ეკონომიური მნიშვნელობა ცხადია არ ასვენებს კოლონიზატორებს.

ლ. ჩიქვანაია

ჟურნალ „დროშის“ № 6-ში მოთავსებული კროსვორდის

პასუხი

ჰორიზონტალურად:

9. ანტოკოლსკი. 10. აივაზოვსკი. 11. ტირადა. 12. ალუმინი. 13. განხრა. 14 ოფიცერი. 15. ესტრადი. 17. ორკესტრი. 20 გლიუტინი. 22. მაგნატი. 23. პარალელი. 24. დიაგრამა. 28. ინერცია. 31. ჰიპოთეზა. 32. ინიციალი. 35. კროკეტი. 36. კომისია. 38. ელეგია. 39. აქსიომა. 40. მაკეტი. 41. იმპრესარიო. 42. ასპირატორი.

ვერტიკალურად:

1. ანტიქვარი. 2. ბოკაჩო. 3. ვოკალისტი. 4. ოკულარი. 5. ლიანოსი. 6. იზოგრაფია. 7. ავანგი. 8. აკორდეონი. 16. „ნინა“. 18. ემბარგო. 19. იმპერია. 20. გიმარაი. 21. ტერმინი. 25. არქი. 26. სირაქლემა. 27. რეზონანსი. 29. სიასამური. 30. ელევატორი. 33. ატაქსია. 34. კოსმოსი. 35. კაგორი. 37. ასკეტი.

გარეკანის პირველ გვერდზე: ჩაის ბუჩქის სასხლავი მანქანა ლაითურის საბჭოთა მეურნეობის პლანტაციებზე.

ფერადი ფოტო მ. მიხაილოვისა.

მეოთხე გვერდზე: თბილისის ზოოპარკში.

ფერადი ფოტო გ. რაზმაძისა.

ჩანართ გვერდებზე: საქართველოს სსრ ხელოვნების მუზეუმში დაცული რუსული კლასიკური მხატვრობის ექსპონატები.

კროსვორდი



ჰორიზონტალურად:

4. ტბა ირანში. 6. სოფელი საქართველოში. 8. პირუტყვის საკვები ბალახი. 9. დაწნეხილი ფხვიერი მასალა. 11. ქალაქი კამჩატკის ნახევარკუნძულზე. 13. ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი. 18. წყალგაუმტარი მუყაო, გაჟღენთილი ასფალტით (იხმარება სახლის გადასახურავად). 19. იაპონური ფულის ერთეული. 20. ერთნაირი წნევის ადგილის შემაერთებელი ხაზი გეოგრაფიულ რუკაზე. 22. ორმარცვლიანი მუხლი ლექსთაწყობაში. 23. კუროორტი ყირიმის ნახევარკუნძულზე. 24. მცენარე, რომლის თესლისაგან ამზადებენ სასიამოვნო სუნის ზეთს. 26. ცხენსაჭერი მარყუჟიანი თოკი. 27. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში 28. ფუტკრის ბინა. 30 ქლიავის ჯიში. 32. მტაცებელი ფრინველი. 34. რობინზონ კრუზოს გადამრჩენელი მეკობრე. 36. ყარყატის ოჯახის ფრინველი. 40. ხელსაწყო საქარგავად. 41. ალგებრული გამოსახულება. 42. მაჰმადის სარწმუნოებრივი მოძღვრება. 43. ზვინი ძნისა. 44. ბურთულებად გაკეთებული წამალი. 47. მოხარშული სელის ზეთი. 50. ვაზის ან ყურძნის ჯიში. 51. ბრტყელძირა სატვირთო ნავი. 53. ჰოლანდიელ კოლონისტთა ჩამოთავაზენი სამხრეთ აფრიკაში. 54. მცენარე. 56. მდინარე ყაზახეთში. 57. ტროპიკული ქვეყნის შხამიანი ბუზი. 58. კანის გადამდები სნეულება. 63. ყინულის მასა, რომელიც წარმოიშვება მარადთოვლიან მთებში. 64. ქართველთა ტომი. 65. დიატონიკური გამის მერვე ტონი. 66. ძმარმჟავას მარილი. 67. ზმნისართი. 72. ლითონის მავთულის გამოსაყვანი ხელსაწყო. 73. უფერო, უსუნო, ძლიერ გავრცელებული გაზი. 74. ძველი საბერძნეთის შუა ნაწილი. 75. გაქრისტიანებული არაბი, რომელიც მერვე საუკუნის გასულს თბილისში აწამეს არაბებმა. 76. ლირიკული პოეზიის ფორმა. 77. გალვანური ელემენტის დადებითი პოლუსი. 78. ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობისადმი მიძღვნილი მეცნიერულ გამოკვლევათა კრებულის სახელწოდება. 80. ჯეკ ლონდონის რომანის გმირი.

ვერტიკალურად:

1. თევზის ჯიში. 2. პოლიტიკური პარტიების შეთანხმება. 3. მუსიკალური ნაწარმოების სახე. 4. დონელ ბოგანო კაზაკთა ატამანი XVII საუკუნის 60-იან წლებში. 5. დავალებათა გადამცემი, მაუწყებელი გემი. 6. ლაშქარი. 7. ეგვიპტელების ქალღმერთი. 9. უსაჩხვლეტო შესაკრავი სარტყელისა. 10. ნაწარმოების მთავარი აზრი. 12. მამა-პაპითგან დამკვიდრებული ჩვეულება. 13. სამხრეთ ამერიკაში გაშლილი ხშირბალახიანი ველი. 14. ხვიარა დეკორაციული მცენარე. 15. მდ. ოკას მარცხენა შენაკადი. 16. მდ. პეჩორას მარცხენა შენაკადი. 17. წყლის ფრინველი. 20. გემზე მოსამსახურე ბიჭი. 21. ძლიერსუნიანი, ელექტრიზებული ყანგბადი. 24. არამომგე, არამწველი საქონელი. 25. ჯუჯა-კაცთა ტომი შუა აფრიკაში. 28. ჩრდილო აღმოსავლური ცხელი ქარი. 29. ერთხმიანი ვოკალური ნაწარმოები. 31. ვასილ ნეტარის ტაძრის მშენებელი ოსტატი. 33. მიწის ქერქზე დანამატი ფენა, ძველ ფენათა გადარეცხვის გამო წარმოქმნილი. 34. ძაღლის ჯიში. 35. უძველესი დროის იარაღი. 37. უცნობი სიდიდე. 38. უხილავი წყალქვეშა კლდე ზღვაში. 39. ჯარისკაცი თურქეთში. 45. შავი ხარი ტიბეტსა და მონღოლეთში. 46. მიწის ხელოვნურად მორწყვა. 47. იოანე IV მცველი რაზმი. 48. ცხენის ჯიში. 49. პირველი ასო ბერძნულ ანბანში. 51. ახლომხედველი. 52. ერთბაში ძლიერი განცდა. 53. ჰაერის ტალღისებრი რხევითი მოძრაობა, რომელსაც აღიქვამს სმენის ორგანო. 55. თვალის ფერადი გარსის ანთება. 57. ლიმონის სიმებიანი საკრავი. 59. სპორტული ტერმინი. 60. რთული სამუსიკო ინსტრუმენტი. 61. პირველი ასო ქართულ ანბანში. 62. გუცკოვის დრამის მოქმედი პირი. 68. ქიმიური ელემენტი. 69. მაღალხარისხოვანი მინა. 70. უმცირესი რამ სიდიდე. 71. ყვავილი. 75. უმარტივესი, მიკროსკოპული ცხოველი. 79. ქალაქი ურალში.

რედაქტორი — გრ. აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია: შ. ბუაჩიძე, შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი, დ. დოლიძე, მ. სააკაშვილი, ი. ციციშვილი, ვ. ჭელიძე, უ. ჯაფარიძე.

ნომერი გააფორმა ალ. ბანძელაძემ

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბლეხანოვის პრ., № 91. ტელ. 3-95-38 | ფასი 3 მან. | **გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოციინკოგრაფიაში**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/VII-53 წ. გამომც. № 91 ნაბეჭდი ფურც. 3½ ტირაჟი — 15.000 შეკვეთის № 402 УЗ 04452

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке)

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ., № 5.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბათუმის პორტში. ქუთაისის თვითმცლელების დატვირთვა.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ფასი 3 მან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა